

ევროპული

კულტურული მემკვიდრეობის

სტრატეგია

21-ე საუკუნისთვის



წინამდებარე პუბლიკაცია ეფუძნება „21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის“ შესახებ წვერი ქვეყნების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (CM/Rec(2017)1)

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2017 წლის 22 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1278-ე სხდომაზე)



© ევროპის საბჭო, 2018 წლის მაისი

ყველა უფლება დაცულია. გამრავლება დაშვებულია წყაროს დამოწმების პირობით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ევროპის საბჭოს დემოკრატიის გენერალური დირექტორატის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის განყოფილების სამდივნოს (ელ. ფოსტა: Strategy21@coe.int) წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია კომერციული მიზნებისთვის წინამდებარე პუბლიკაციის თარგმნა, გამრავლება ან გადაცემა რაიმე ფორმით ან საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, ფოტოასლების გადაღების, ჩაწერის ან რაიმე სახის ინფორმაციის შესანახი ან აღსადგენი სისტემის ჩათვლით.

Cover, layout & visual identity:

ყდა, განლაგება და ლოგოტიპი:

© ევროპის საბჭო (შექმნილია ევროპული საბჭოს „სტრატეგია21-ისთვის“ Banian ICT-ის მიერ)

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს 21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის შესახებ

(Adopted by the Committee of Ministers on 22 February 2017 at the 1278th meeting of the Ministers' Deputies) (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2017 წლის 22 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1278-ე სხდომაზე)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15(ბ) მუხლის დებულებების საფუძველზე,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია წევრებს შორის უფრო მჭიდრო ერთობის შექმნა და ეს მიზანი მიღწეული უნდა იქნას კულტურის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ერთობლივი მოქმედებით;

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროპის საბჭოს ინოვაციური მოღვაწეობისა და, განსაკუთრებით, 1975 წელს ორგანიზებული ევროპული არქიტექტურული მემკვიდრეობის წლის, და ბოლოს, „არქიტექტურული მემკვიდრეობის შესახებ ევროპული ქარტიის“ (ამსტერდამის ქარტიის) გათვალისწინებით, რომლებმაც შედეგად მოგვცა საერთო ევროპულ დონეზე მემკვიდრეობის მნიშვნელობის უკეთესი გაცნობიერება და წევრ სახელმწიფოებში მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ინტეგრირებული პოლიტიკური კურსების დამტკიცება;

მემკვიდრეობის დარგში ექსპერტთა მიერ მრავალ ისეთ კონვენციაში შეტანილი და შეუცვლელი წვლილის გათვალისწინებით, რომელთა დანერგვა და შემდგომი განხორციელება წარმოებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობით და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, კერძოდ, ეს კონვენციებია:

- 1954 წლის 19 დეკემბერს, პარიზში ხელმოწერილი „ევროპის კულტურული კონვენცია“ (ETS No. 18);
- 1985 წლის 3 ოქტომბერს, გრანადაში ხელმოწერილი კონვენცია „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (ETS No. 121);
- 1992 წლის 16 იანვარს, ვალეტაში ხელმოწერილი „ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (შესწორებული) (ETS No. 143)
- 2000 წლის 20 ოქტომბერს, ფლორენციაში ხელმოწერილი „ევროპის ლანდშაფტის კონვენცია“ (ETS No. 176);
- 2005 წლის 27 ოქტომბერს, ფაროში ხელმოწერილი „საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენცია“ (CETS No. 199);

აღნიშნავს რა ხაზგასმით ამ კონვენციების წვლილს კულტურული მემკვიდრეობის

სფეროში ეროვნული პოლიტიკის მიმართულებებისთვის ფუნდამენტური სახელმძღვანელო ჩარჩოს შექმნაში;

სწამს რა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება, პოპულარიზაცია და გაუმჯობესება ხელს უწყობს უფრო ინკლუზიური და სამართლიანი საზოგადოებების მშენებლობას იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენს ევროპელი ხალხების საერთო მემკვიდრეობას;

სწამს რა, რომ მემკვიდრეობის სფეროს პოლიტიკის მიმართულებები ხელს უწყობს ევროპელების საცხოვრებელი გარემოსა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ასრულებს მნიშვნელოვან როლს სოციალური სტრუქტურის გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებაში;

აღნიშნავს რა ხაზგასმით, რომ კულტურული მემკვიდრეობის მართვა დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების სრულად გათვალისწინებით წარმოადგენს გამოწვევას ევროპის მასშტაბით არსებული ყველა საზოგადოებისთვის, და რომ ევროპულ მიდგომას შეუძლია გააძლიეროს თითოეული სახელმწიფოს დონეზე მისაღები ზომების ურთიერთკავშირი და ეფექტურობა;

აქვს რა განზრახული, რომ შესრულებული იქნას კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელ ევროპელ მინისტრთა მე-6 კონფერენციაზე მიღებული „ნამურის დეკლარაცია“ (ნამური, 2015 წლის 23 და 24 აპრილი);

ითვალისწინებს რა კულტურის მინისტრთა მე-10 ევროპული კონფერენციის (მოსკოვი, 2013 წლის აპრილი) დასკვნით განცხადებას, რომელმაც დაადასტურა ევროპის საბჭოს, როგორც კულტურის სფეროში გამოჩენილი პანევროპული ორგანიზაციის როლი;

ითვალისწინებს რა მემკვიდრეობის დაცვაში, მფარველობაში, შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი „იუნესკოს“ გადამწყვეტ წვლილს, და მიესალმება რა ევროკომისიის ინიციატივას 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის წლად გამოცხადების თაობაზე¹;

აღნიშნავს რა, რომ კულტურული მემკვიდრეობა არის კულტურის განუყოფელი ბურჯი და რომ ეს ორი სფერო დგას საერთო გამოწვევების წინაშე;

ითვალისწინებს რა, რომ საბიუჯეტო და ადამიანური რესურსები როგორც ევროპულ, ასევე ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს დონეზე დროთა განმავლობაში არასაკმარისი ხდება ევროპული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღდგენის, და აქედან გამომდინარე, მომავალი თაობებისთვის ამ მემკვიდრეობის გადაცემის უზრუნველყოფისთვის;

ითვალისწინებს რა 21-ე საუკუნის ევროპული მემკვიდრეობის სტრატეგიას, რომელიც შედგენილია კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის მმართველი კომიტეტის (CDCPP) მიერ შემუშავებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების დასკვნების საფუძველზე, და აღიარებს რა წევრი და არაწევრი სახელმწიფოებისთვის, ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერთათვის მის

¹ ამ აზრის შესწორება შესაძლებელია შემდეგი სახით: მიესალმება რა კომისიისა და პარლამენტის გადაწყვეტილებას 2018 წლის კულტურული მემკვიდრეობის წლად გამოცხადების შესახებ.

მნიშვნელობასა და ღირებულებას;

აღნიშნავს რა, რომ ხსენებული სტრატეგიის მთავარ მახასიათებლებს წევრ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკისა და კონკრეტული გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს, რაც მათ საშუალებას აძლევს, ერთმანეთი წახალისონ სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობაში,

1. რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

- a. მიიღონ და განახორციელონ წინამდებარე რეკომენდაციაზე დართული სტრატეგია შესაბამის სახელისუფლო დონეებზე, მათი შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი დებულებებისა და პრაქტიკის შესაბამისად;
 - b. ფართოდ გაავრცელონ მოცემული სტრატეგია სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებს, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს, პროფესიონალებს, ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის და სამოქალაქო საზოგადოებაში, და წახალისონ ისინი, აქტიური როლი ითამაშონ სტრატეგიის ეფექტურად განხორციელებასა და მისი მიზნების მიღწევაში;
 - c. სათანადო შემთხვევებში, გამოიყენონ HEREIN სისტემაში აღრიცხული და განახლებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები;
 - d. უზრუნველყონ შემდგომი ზომები, რაც სტრატეგიისა და მისი განხორციელების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;
2. მოუწოდებს ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, სტრატეგია მიიღონ სახელმძღვანელო დოკუმენტად და შეასრულონ საკუთარი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის შესაბამისად;
3. მიესალმება ევროკომისიის ინიციატივას 2018 წლის ევროპული მემკვიდრეობის წლად გამოცხადების თაობაზე და მხარს უჭერს მოცემული სტრატეგიის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებას.

დანართი რეკომენდაციაზე CM/Rec(2017)1

წინასიტყვაობა

„ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნისთვის“ უნდა განიხილებოდეს იმ ცვლილებების ფონზე, რომელიც მემკვიდრეობის ცნებამ ევროპაში, განსაკუთრებით მე-18 და მე-19 საუკუნეებში განიცადა.

ახლა, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ამ ცნების ზოგადი ისტორიისა და მემკვიდრეობის პოლიტიკის არსებითი საკვანძო ეტაპების განხილვა, რათა ნათლად დავინახოთ როგორც საერთო ტენდენციები, ასევე აშკარა განსხვავებები ევროპის ქვეყნებს შორის ამ საკითხისადმი მიდგომაში, რაც განპირობებულია თითოეული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი კონკრეტული გარემოებებით და მემკვიდრეობისა და ისტორიისადმი მათი დამოკიდებულებით.

როდესაც ანტიკური ხანის ღირებულებების მემკვიდრეობა აღდგა და ხელახლა იქნა აღმოჩენილი რენესანსის და განმანათლებლობის პერიოდში, განსაკუთრებით, კათოლიციზმისა და პაპობის ტრადიციების მეშვეობით, მემკვიდრეობის დაცვამ შეაღწია საზოგადოებრივ, რელიგიურ და პირად სფეროებში იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინა და მომავალი თაობებისთვის გადაეცა წარსულის ნივთები, რიტუალები და გადმონაშთები. მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, სწავლული „ანტიკვარები“ ევროპის მასშტაბით აგროვებდნენ ყველა სახის ნივთების კოლექციებს, რითაც ქმნიდნენ პირველ მუზეუმებს და აფუძნებდნენ სწავლულთა საზოგადოებებს. იმ პერიოდში ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად შვედეთში, ოფიციალური ინსტრუქციები იქნა მიღებული. გარდამტეხი აღმოჩნდა საფრანგეთის რევოლუცია, თავისი ურთიერთსაწინააღმდეგო – როგორც დამანგრეველი, ასევე დამცავი ქმედებებით და ძვრებით, მათ შორის ქონების ნაციონალიზაციის შემდგომი ძარცვა-გლეჯით,

შემდეგ ინტელექტუალები ჩაერთნენ. 1799 წელს გოეთემ შემოიტანა მემკვიდრეობის კოლექტიური საკუთრების და დაცვის ცნება: „ხელოვნების ყველა ნიმუში, როგორც ასეთი, ეკუთვნის მთელ კაცობრიობას და მათ ფლობას ახლავს მათი დაცვის მოვალეობა“². 1825 წელს ვიქტორ ჰიუგო პამფლეტში „ომი დამანგრეველებთან“ წერდა: „შენობას ორი რამ ახასიათებს: მისი გამოყენება და მისი სილამაზე. გამოსაყენებლად იგი ეკუთვნის მის მეპატრონეს, ხოლო სილამაზით – მთელ მსოფლიოს. აქედან გამომდინარე, მისი განადგურებით ადამიანი თავის უფლებებს გადააჭარბებს“³.“ რიგ ქვეყნებში გაიხსნა

² ი. ვ. ფონ გოეთე (1799), *Propyläen. Eine periodische Schrift*, ტუბინგენი, ციტირებულია ა. სვენსონის მიერ (2013), *მემკვიდრეობის აღმასვლა. წარსულის დაცვა საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში, 1789-1914*, კუმბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 278.

³ ვ. ჰიუგო, *Sur la destruction des monuments en France* (1825), dans : *Guerre aux Démolisseurs, Revue des deux mondes*, tome 5 (1832), გვ. 607-622.

განმანათლებლობის ნაყოფი - ხელოვნების, მეცნიერებათა და ტექნოლოგიის მუზეუმები. საფრანგეთში, მსგავსი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ვითარდებოდა ქონების ნაციონალიზაციის პარალელურად, საგანმანათლებლო მიზნით.

მე-19 საუკუნეში მტრულად განწყობილ ერებად დანაწევრებულ ევროპაში, ნაციონალისტური მოძრაობები და მოგვიანებით, 1848 წლის რევოლუციები ცდილობდნენ სახელმწიფოების არსებობის გამართლებას და გამყარებას, რომელთაგან ზოგიერთი ახლადჩამოყალიბებული იყო, ხოლო სხვებს საფრთხე ემუქრებოდა. ხალხი წარსულს მიუბრუნდა საკუთარი იდენტობის მოსაპოვებლად. თანდათანობით, პიროვნების ან მოვლენის სამახსოვრო ძეგლის (ლათინური სიტყვიდან *monumentum* – სამახსოვრო ნაგებობა, რაც ეფუძნება ზმნას *monere* – შეხსენება) იდეამ ძვრა განიცადა და გარდაიქმნა იმ ძეგლის იდეად, რომელსაც ჰქონდა ისტორიული და მხატვრული ღირებულება. მთელ ევროპაში დაიწყო ეროვნული მემკვიდრეობის პოლიტიკის საფუძვლების აღმოცენება. ხდებოდა აღნუსხვა, რომლებსაც მოყვებოდა კანონები, რომლებიც თანდათანობით აწესებდა დაცვის, კონსერვაციისა და გაუმჯობესების მარეგულირებელ დებულებებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ავსტრიელმა ალოიზ რიგლმა წამოაყენა ძეგლების ტიპოლოგია მათთვის მინიჭებული რიგი ღირებულებების მიხედვით. იგი ყურადღებას ამახვილებდა დაცვის, კონსერვაციისა და რესტავრაციის ცნებებზე. ეს პრინციპები მომავალში შეტანილი იქნა ევროპის ყველა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში. ეს ის მემკვიდრეობაა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის.

არქიტექტორების და ისტორიული ძეგლების სპეციალისტების პირველმა საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც 1931 წელს გაიმართა ათენში, დაამტკიცა დამფუძნებელი ქარტია (ათენის ქარტია ისტორიული ძეგლების რესტავრაციის შესახებ). მასში გაცხადებულია რიგლის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები. ქარტიის რეკომენდაციით, ძეგლების რაიმე სახით გამოყენების დროს, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მათი ისტორიული თუ მხატვრული ღირებულება და ნებისმიერი მშენებლობის დაგეგმვის შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ძეგლებსა და მათ შემოგარენს. მასში, ასევე, ყურადღება იყო გამახვილებული კურატორებს, არქიტექტორებსა და მეცნიერებს შორის თანამშრომლობაზე და ბოლოს, ისტორიაში პირველად, ქარტია მოუწოდებდა საერთაშორისო თანამშრომლობისკენ „მხატვრული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის“ სფეროში. ომისშემდგომი პერიოდის განსაკუთრებულმა კონტექსტმა და იუნესკოს მიერ უნიკალური ისტორიული ობიექტების გადასარჩენად მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა სამუშაოებმა ამ სპეციალისტებს და მათ მემკვიდრეებს უზიძგა, რომ 1964 წელს, ვენეციაში ჩატარებულ არქიტექტორებისა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტების მე-2 საერთაშორისო კონგრესზე, იუნესკოს შემოთავაზების საფუძველზე, შეექმნათ ძეგლების და ობიექტების საერთაშორისო საბჭო. ამ, კონგრესმა 13 რეზოლუცია მიიღო. პირველი იყო „საერთაშორისო ქარტია ძეგლთა და ობიექტების კონსერვაციის და რესტავრაციის შესახებ“, რომელიც უფრო ვენეციის ქარტიის სახელითაა ცნობილი.

1970-იან წლებში ტერმინი „კულტურული მემკვიდრეობა“ ჩაანაცვლა ტერმინმა

„ისტორიული ძეგლი“, რომლითაც ამერიიდან მოიხსენიებოდა კანონით დაცული ობიექტები. ეს ცვლილება, რომელიც მოიცავდა ცნების მნიშვნელოვნად გაფართოვებას, მოხდა სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში და დაემთხვა 1973 წლის ნავთობის კრიზისსა და ცხოვრების წესის ძირეულ ცვლილებებს. მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (იუნესკო, 1972) და ევროპული არქიტექტურული მემკვიდრეობის წელიწადი, რომლებიც ეფუძნებოდა დევიზს „მომავალი ჩვენი წარსულისთვის“ (ევროპის საბჭო, 1975), ამ ცვლილების ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენდა. 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემამ საზღვრები შეცვალა და ახალი საერთო სივრცეები შექმნა.

ექსპერტებსა და პოლიტიკურ წარმომადგენლებს შორის 40 წლის განმავლობაში მიმდინარე დისკუსიებისა და დიალოგის შედეგად შექმნილი მდიდარი გამოცდილების საფუძველზე ევროპის საბჭომ შეიმუშავა, მიიღო და განახორციელა რამდენიმე დამფუძნებელი კონვენცია, რომლებიც გადატანილ იქნა ევროპული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებში და ამით საფუძველი ჩაეყარა მემკვიდრეობის მქონე დიდ ევროპას:

- „ევროპის კულტურული კონვენცია“ (1954, პარიზი - ETS No. 18);
- კონვენცია „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (გრანადა, 1954 - ETS No. 121);
- ევროპული კონვენცია „არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (შესწორებული) (ვალეტა, 1992 - ETS No. 143)
- „ევროპის ლანდშაფტის კონვენცია“ (ფლორენცია, 2000 - ETS No. 176);
- ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენცია „საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ (ფარო, 2005 * CETS No. 199);

ეს კონვენციების გახდა სახელმძღვანელო დოკუმენტები და შევსებული იქნა რიგი დეკლარაციებით, რეკომენდაციებითა და რეზოლუციებით.⁴

„ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნისთვის“ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში გაძლიერებული აზროვნების, გაზიარებისა და თანამშრომლობის ტრადიციების მემკვიდრეა. საკითხები, რომლებსაც ჩვენ ყურადღებას ვუთმობთ 21-ე საუკუნის დასაწყისში, არის არა ის, თუ როგორ და რატომ უნდა შევინარჩუნოთ, აღვადგინოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი მემკვიდრეობა, არამედ ის, თუ: „ვისთვის უნდა ვაკეთებდეთ ამას?“. ეს არის ფაროს „საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენციის დედააზრი, რომელიც საფუძვლად უდევს „21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის“ მთელ პროცესს.

⁴ ხელმისაწვდომია ბმულზე: www.herein-system.eu/council-europe.

I. ზოგადი ჩარჩო

„21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის“ საფუძვლების პოვნა შეიძლება ევროპის საბჭოს არაერთ მიღწევაში, რომლებმაც, ევროპის კულტურული კონვენციის მიღების შემდეგ, ხელი შეუწყო სხვადასხვა მემკვიდრეობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას ევროპის უმრავლეს ქვეყნებში და შედეგად მოიტანა მათ შორის თანამშრომლობა. სტრატეგია, ასევე, იყენებს იუნესკოსა და ევროპული გაერთიანების მიერ გაწეული სამუშაოს, და მოცემული სტრატეგიის შედგენაში მონაწილე საეთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში და მემკვიდრეობაზე ორიენტირებულ ქსელებში გამართულ დისკუსიებს.

კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი მე-19 საუკუნის ბოლოს იღებს სათავეს და დღესაც იზრდება. იგი გამოიხატება დამფუძნებელ დოკუმენტებში, კერძოდ, „სახმელეთო ომების კანონებისა და წესების შესახებ“ ჰააგის კონვენციებში (1899, 1907), კონვენციაში „შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ობიექტების დაცვის შესახებ“ (1954), და ათენისა (1931) და ვენეციის (1964) ქარტიებში ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის შესახებ. უახლესი სახელმძღვანელო დოკუმენტებია იუნესკოს კონვენცია „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (2003), იუნესკოს კონვენცია „ფოლკლორული მრავალფეროვნების ხელშეწყობის შესახებ“ (2005) და ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენცია „საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ“ (2005), რომლებშიც ხაზგასმულია მოქალაქეთა უფრო აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა და ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ თემებს, მოქალაქეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შესწევდეს უნარი, მემკვიდრეობად აღიარონ ის, რაც მათთვის მნიშვნელოვანია, ასევე, პატივი სცენ, შეინახონ, გადასცენ და გაამდიდრონ ეს მემკვიდრეობა.

ჩვენს კონტინენტზე ბევრი ისეთი ცვლილება მოხდა, რომლებმაც პრეტენზიები წარმოქმნა „ერთად ცხოვრების“ მიმართ და საჭირო გახადა დემოკრატიის, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ამ საერთო მონაპოვარის ფუძემდებლური პრინციპების დაცვა.

დემოგრაფიული და კულტურული ცვლილებები, მასობრივი ტურიზმის გლობალური გავრცელება, ბუნებრივი და ანთროპოგენული კატასტროფების რაოდენობის ზრდა, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის იზოლაციონიზმის ცდუნება, მთავრობებს შორის წინააღმდეგობანი, ეკონომიკური კრიზისი და სერიოზული დარღვევები თავისუფლების, ტოლერანტობისა და დემოკრატიული ღირებულებებისა (ან მათ გამოწვევების გაჩენა), რასაც ჩვენი საზოგადოება ემყარება: ყველა ეს გამოწვევა მოითხოვს შეთანხმებულ ყოვლისმომცველ და შთამაგონებელ რეაგირებას.

კულტურული მემკვიდრეობა, ყველა მისი შემადგენელი ნაწილით, მატერიალურით თუ არამატერიალურით, ჩვენი საზოგადოებების ხელახალი ორიენტაციის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ხელახალი ორიენტაციისა, რომელსაც საფუძვლად კულტურებს შორის დიალოგი, იდენტურობისა და მრავალფეროვნების პატივისცემა, საერთო ღირებულებების მქონე საზოგადოებისადმი კუთვნილების შეგრძნება უდევს. კულტურულ მემკვიდრეობას საკვანძო როლი შეუძლია ითამაშოს, როგორც პიროვნების

იდენტობის შექმნის, გამორკვევის და დამკვიდრების საშუალებას,

კულტურული მემკვიდრეობა, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძლავრი ფაქტორია მის მიერ გამოწვეული აქტივობებისა და მისი ხელშემწყობი პოლიტიკის წყალობით. მას შეუძლია ხელი შეუწყოს მიზნების მიღწევას სხვა სექტორებში და განათლების, დასაქმების, ტურიზმისა და მდგრადი განვითარების სფეროების შეუფასებელ რესურსს წარმოადგენს.

კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკაში აუცილებელია იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლებიც მას ინტეგრირებული მიდგომის ცენტრში მოაქცევს, რომელიც ორიენტირებული იქნება მთელი საზოგადოების – როგორც ეროვნული სახელმწიფო ორგანოების, ასევე ამ მემკვიდრეობის მცველი გაერთიანებების მიერ მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე, დაცვასა და ხელშეწყობაზე. რათა ნებისმიერმა, მიუხედავად იმისა, აქტიურად არის ჩართული თუ მხოლოდ შორეული კავშირი აქვს ამ თემასთან, თანაბრად დააფასოს ეს მემკვიდრეობა და პასუხისმგებლობა იგრძნოს მათზე.

შეუძლებელია, ცალკე აღებული ერთი სახელმწიფო სხვებისგან იზოლირებულად გაუმკლავდეს ამ გამოწვევას. საყოველთაო გაცნობიერების, ჰარმონიული და თანმიმდევრული ქმედებების მეშვეობით ყველამ უნდა გააგრძელოს, ხელი შეუწყოს და განავრცოს თითოეულის ძალისხმევა, სწორედ ეს წარმოადგენს 21-ე საუკუნის წინამდებარე სტრატეგიის მიზანს.

II. სფერო

21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიას ინკლუზიურ მიდგომა აქვს და მოიცავს არა მხოლოდ ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ საჯარო ხელისუფლებებს, არამედ მემკვიდრეობის საკითხით დაინტერესებულ ყველა სუბიექტს პროფესიონალების, (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციების, მოხალისეთა სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით.

იგი მხარს უჭერს ერთობლივი მართვის პრინციპზე დამყარებულ ეფექტურ მმართველობას,⁵ ძირითადად, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე,

⁵ ეფექტური მმართველობა არის კონცეფცია, რომელიც ახალისებს საჯარო პოლიტიკის გატარებას და ეხმარება საჯარო სამსახურების ხელმძღვანელებს მოვალეობების შესრულებაში. იგი მოიცავს ისეთ პრინციპებს, როგორცაა (ინფორმაციისთვის, იხილეთ მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 8 მარტს მიღებული ევროპის საბჭოს სტრატეგია „ადგილობრივ დონეზე ინოვაციისა და ეფექტური მმართველობის შესახებ“) სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება, მრავალფეროვნების პატივისცემა, გამჭვირვალობა და ეთიკური ქცევა, ანგარიშვალდებულება, ღიაობა და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობა, მდგრადობა და გრძელვადიანი ხედვა, სახელმწიფო ფინანსების გონივრულად და პასუხისმგებლობით გამოყენება და ა. შ. „საზოგადოების აქტიური ჩართულობით მართვა“ აქ გამოიყენება, როგორც დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებისა და მოლოდინების მიმართ ღიაობის, მათ მოსასმენად და მათ მოლოდინებზე ან კითხვებზე რეაგირებისთვის საჯარო ხელისუფლების მქონე პირების მზაობის, ასევე ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და საზიარო საკუთრების პრინციპებით სხვადასხვა საჯარო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალება,

რადგანაც სწორედ ადგილობრივ ხელისუფლებას აქვთ პირდაპირი ურთიერთობა თავის მემკვიდრეობასთან და ყოველდღიურად განაგებს მას. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ დონეზე უნდა მოხდეს მოქალაქეთა წახალისება, რათა მათ უფრო აქტიური როლი ითამაშონ ამ სტრატეგიის დანერგვაში, საზოგადოებრივი აქტიურობისა და პროფესიონალებისა თუ საჯარო დაწესებულებების მუშაობასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის კონტექსტში.

კულტურული მემკვიდრეობის ცნება მნიშვნელოვნად შეიცვალა უკანასკნელ ათწლეულებში და მისი მდგომარეობა განაგრძობს ცვლას საზოგადოების ცვლილების შესაბამისად. ტრადიციულად არსებული დაყოფები ქრება და მათ ანაცვლებს გლობალური მიდგომა: კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მოიცავს არამატერიალურ სფეროს, ნოუ-ჰაუს და დამოკიდებულებებს, განუყრელი კავშირი აქვს მის კონტექსტთან და მის ბუნებრივ თუ კულტურულ გარემოსთან. კულტურულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე შემოქმედებას შორის ჩნდება ახალი კავშირები, რაც კრეატიულობას და ინოვაციას კიდევ უფრო ფართო გასაქანს უქმნის.

ფაროს ჩარჩო-კონვენციის თანახმად, მემკვიდრეობის აღიარება აღიქმება, როგორც საერთო პასუხისმგებლობა: მემკვიდრეობა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული ხელისუფლებების მიერ ოფიციალურად აღიარებული ელემენტებით – დაცული მემკვიდრეობა – ის უკვე მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების მიერ მემკვიდრეობად ჩათვლილ ელემენტებსაც. ეს მოვლენა მოითხოვს ახალ, მეტი ჩართულობითა და თანამშრომლობით მართვის მიდგომებს.

მემკვიდრეობა განუახლებადი საზოგადო სიკეთეა, რომლის კონსერვაცია, დაცვა, რესტავრაცია და გაუმჯობესება მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობაა, პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული სფეროების ჩათვლით. შესაბამისად, არსებობს საჭიროება, რომ განისაზღვროს ყველა მონაწილის როლი და, განსაკუთრებით კი, მოქალაქეებს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების საშუალება მიეცეთ. აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა აქვს ცნობიერების ამაღლებას, კვლევასა და სწავლებას. სწავლება მნიშვნელოვანია იმ ევროპული ცოდნის და უნარების შესანარჩუნებლად და გადასაცემად, რომლებიც თავად წარმოადგენს მემკვიდრეობის იმ ფორმას, რომელიც სასარგებლოდ უნდა იქნას გამოყენებული. ეს მიდგომა უნდა დაემყაროს სახელმწიფოს, მოქალაქეებსა და პროფესიონალებს შორის დიალოგს, რომლის მიზანიც საერთო გაუმჯობესებაა.

მემკვიდრეობა ევროპის განმსაზღვრელი მახასიათებელია და ამ მემკვიდრეობის საფუძვლიანად გაცნობიერებისთვის ინტერდისციპლინარული კვლევაა საჭირო. მისი უნიკალური სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ის კონტინენტის იდენტობის და მიმზიდველობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია და პოლიტიკური, კულტურული, შემოქმედებითი, სამეცნიერო, სულიერი, ფილოსოფიური და კომერციული ურთიერთქმედებების მტკიცებულებაა, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩვენი, ევროპული იდენტობა. ამგვარად, იგი გვხმარება საკუთარი თავისა და სხვების უკეთ გაგებაში.

III. მიზანი და ამოცანები

სტრატეგია ემყარება ევროპის საბჭოს ძირითად ღირებულებებს: დემოკრატias, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას, ღიაობას და დიალოგს, ყველა ადამიანის თანაბარ ღირსებას, ურთიერთპატივისცემას და მრავალფეროვნების მიმართ მგრძობიარობას. ის ცდილობს წახალისოს და ხელი შეუწყოს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული კონვენციების დანერგვას.

სტრატეგია მხარს უჭერს საერთო და საყოველთაო მიდგომას კულტურული მემკვიდრეობისა და მისი მართვისადმი, მემკვიდრეობის კომპლექსური დაცვის უზრუნველყოფის მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე, რომელშიც მემკვიდრეობა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Res(76)28 რეზოლუციით „არქიტექტურული მემკვიდრეობის კომპლექსური დაცვის მოთხოვნებისადმი კანონებისა და რეგულაციების მორგების და ყველა მნიშვნელოვანი, ინსტიტუციური თუ სხვა მონაწილის, პროფესიონალებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ადგილობრივ, ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე ჩართულობის შესახებ“ მნიშვნელობას ატარებს.

იგი მიზნად ისახავს არსებულ ინსტრუმენტებსა და სხვადასხვა პოლიტიკას შორის სინერჯის შექმნას და მათ გაუმჯობესებას, ან შევსებას (საჭიროების მიხედვით), საერთაშორისო და ევროპულ დონეზე მოქმედი სამართლებრივი ინსტრუმენტების მეშვეობით.

მისი კიდევ ერთი მიზანია მშვიდობიანი საზოგადოებების ჩამოყალიბება, რომლებსაც გაცნობიერებული ექნება საკუთარი მრავალფეროვნება და ის, თუ რა სიმდიდრეს წარმოადგენს, რომლებიც მიზიდველი იქნება დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით, ცხოვრების მაღალი დონით და მაღალი დონის საცხოვრებელი გარემოთი.

IV. სამი პრიორიტეტული კომპონენტი და ურთიერთქმედების ოთხი არე (გადაკვეთის არეები)

სტრატეგია სამ კომპონენტს ემყარება:

1. „სოციალური“ კომპონენტი იყენებს მემკვიდრეობის აქტივებს მრავალფეროვნების ხელშესაწყობად, მემკვიდრეობის მფლობელი ადგილობრივი საზოგადოებების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისა და საზოგადოებრივი ჩართულობით მართვის მიზნით.
2. „ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების“ კომპონენტის მიზანია ადგილობრივი რესურსების, ტურიზმისა და დასაქმების საფუძველზე მდგრად განვითარებაში მემკვიდრეობის წვლილის გამყარება.
3. „ცოდნის და განათლების კომპონენტი“ მემკვიდრეობის მეშვეობით, მემკვიდრეობის ცოდნის ცენტრების დაარსებისა და მემკვიდრეობითი ხელობების და პროფესიების სასწავლო ცენტრების დაარსების გზით, სათანადო წვრთნის, სწავლების და კვლევის პროგრამების წარმართვით განათლების, კვლევისა და ხანგრძლივი სწავლების საკითხებზე ფოკუსირდება.

ეს „კომპონენტები“ ერთმანეთთან კავშირშია გადაკვეთის ოთხ არეში. ურთიერთკავშირი: სოციალურ კომპონენტსა და ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების კომპონენტს შორის; ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების კომპონენტსა და

ცოდნის და განათლების კომპონენტს შორის; ცოდნის და განათლების კომპონენტსა და სოციალურ კომპონენტს შორის და, ბოლოს, ყველა ამ სამ კომპონენტს შორის.

ამ სტრატეგიის ზოგადი თანამიმდევრულობა და სპეციფიკური ხასიათი მომდინარეობს სხვადასხვა კომპონენტსა და მათი გადაკვეთის არეებს შორის წონასწორობიდან.

V. ვალდებულებები

სტრატეგია ეძლევა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ევროპის კულტურული კონვენციის სხვა მხარე-სახელმწიფოებს⁶. მათ მტკიცედ მოეწოდებათ მისი შესრულება თავიანთი შესაბამისი კონსტიტუციური სისტემების მიხედვით და ყველა სათანადო ზომის მიღება მისი მიზნების მისაღწევად.

ცხადია, ეს ზომები შეიძლება უკვე მოქმედებდეს, მაგრამ, შესაძლოა, საჭირო გახდეს ახალი ინიციატივები. სახელმწიფოებმა კეთილსინდისიერად უნდა იკისრონ ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმა ამ სტრატეგიაში შესული რეკომენდაციების შესასრულებლად, და დაეხმარონ ერთმანეთს გამოცდილების, ცოდნის, კვლევისა და დადებითი პრაქტიკის გაცვლით.

HEREIN-ის მონაცემთა ბაზაში უკვე არსებობს დადებითი პრაქტიკის მრავალი მაგალითი. სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, მიმართონ ამ მონაცემთა ბაზას და შეავსონ ის ამ სტრატეგიის შესაბამისი ახალი გამოცდილებით. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ადგილებზე დაინტერესებული პირების, ორგანიზაციების, პროფესიონალებისა და სამოქალაქო საზოგადოების წვლილი მისასაღმებელია და წარმოჩენილი იქნება HEREIN-ის ეროვნულ კოორდინატორებთან თანამშრომლობით.

VI. შინაარსი და განხორციელება

თითოეული კომპონენტი დაკავშირებულია გამოწვევათა სერიასთან, რომელთაგან ზოგიერთი ერთ ან ორივე დარჩენილ კომპონენტთან იკვეთება. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად რამდენიმე რეკომენდაცია იქნა შემუშავებული. ეს რეკომენდაციები თითოეულმა სახელმწიფომ თავისი პრიორიტეტების, საშუალებებისა და რესურსების შესაბამისად უნდა შეასრულოს. ყოველი რეკომენდაცია დაყოფილია შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმებად, რომლებსაც რჩევების ფორმით აქვს, და მაგალითისთვის ილუსტრირებულია კონკრეტულ სახელმწიფოებში უკვე გატარებული ქმედებებით (ამ საკითხზე დამატებით ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი B).

⁶ ეს სტრატეგია შესთავაზეს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და სხვა, ევროპის კულტურული კონვენციის მხარე-სახელმწიფოებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2017) რეკომენდაციით. რომლის განუყრელ ნაწილსაც წარმოადგენს იგი.

განზრახ დატოვებული ცარიელი ფურცელი



S

VI.I „სოციალური კომპონენტი“ (S)



„სოციალური კომპონენტი“ (S) ყურადღებას ამახვილებს მემკვიდრეობასა და საზოგადოებრიობას შორის ურთიერთობებზე, მოქალაქეობაზე, დემოკრატიული ღირებულებების გადაცემაზე საზოგადოებრივი ჩართულობით ხელმძღვანელობის გზით და ეფექტურ მართვაზე საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.

გამოწვევები

- S1. მშვიდობიან გარემოში ცხოვრება
- S2. ცხოვრების დონის გაუმჯობესება
- S3. ადამიანების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა
- S4. კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნება
- S5. ეფექტური მმართველობის დამკვიდრება
- S6. საზოგადოების ჩართულობით მართვის ხელშეწყობა
- S7. კონვენციების შესრულების ოპტიმიზაცია
- S8. მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ინკლუზიური მიდგომის წახალისება



რეკომენდაციები



რეკომენდაცია S1

წახალისეთ მოქალაქეთა და ადგილობრივი ხელისუფლებების მონაწილეობა ყოველდღიური მემკვიდრეობის პრაქტიკულ გამოყენებაში

ჩვენს გარშემო არსებული მემკვიდრეობა, თავისი მრავალფეროვანი, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ფორმებით, პირდაპირ და თანაბრად ეხება ყველა ასაკის მოქალაქეებს, ხანგრძლივად მცხოვრებ რეზიდენტებსა და ახლად ჩამოსულებს, რადგან ის ჩვენი ყოველდღიური გარემოს ნაწილს წარმოადგენს. მოქალაქეთა ინდივიდუალური ან კოლექტიური ჩართულობა არის იმ პროცესის ნაწილი, რომელიც იწყება ცნობიერების ამაღლებით და მთავრდება ადგილობრივი ხელისუფლებების და ორგანიზაციების მიერ მემკვიდრეობის დადგენის, განმარტების, შესწავლის და პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებულ პროექტებში აქტიური მონაწილეობით. მემკვიდრეობის პოპულარიზაციისადმი ამგვარი ერთობლივი მიდგომა ეყრდნობა სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს, ყველაზე ტრადიციულიდან ყველაზე ინოვაციურის ჩათვლით. იგი მოითხოვს სოციალური მოლოდინის კარგ ცოდნას და ხელს უწყობს წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფართოდ გავრცელებას.

აქტუალური გამოწვევები	S2	S4	S6	S8			
ურთიერთკავშირი	D1	D3	K1	K3			

სამოქმედო გეგმები

- ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და მემკვიდრეობის მკვლევარებთან ერთად გასაცნობად ეწვიეთ უზნებს, სოფლებს, ქალაქებს, სახელოსნოებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებსა და ა. შ.
- წახალისეთ ადგილობრივი ხელმარჯვე ოსტატების გამოფენები, ადგილობრივი ხელობების და ნოუ-ჰაუს აღმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით
- მოაწყვეთ ღონისძიებები, რომლებშიც გამოყენებული იქნება ადგილობრივი მემკვიდრეობის ასპექტები (ხაბაზის ღუმელები, ზეთსახდელები, ორთქლის მანქანები, ადგილობრივი მუზეუმები, მუსიკა, ცეკვები, ლეგენდები, ტრადიციები და ა. შ.)
- ადამიანების მოლოდინის, მათი ინტერესების, სიმპათიებისა და ანტიპათიების დასადგენად განსაზღვრეთ სოციალური მოთხოვნილებები (ახალგაზრდების, პენსიონერების, ახლად ჩამოსულებისა და ა. შ.)
- გააღრმავეთ ცოდნა მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და გაზიარების ციფრული ინსტრუმენტების შესახებ
- დაწერეთ საგამომცემლო პოლიტიკა – ბუკლეტების, ბროშურების, სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა
- მოსახლეობის მონაწილეობით და მოქალაქეთა აქტიური ჩართვის წახალისების მიზნით შექმენით აუდიოვიზუალური და ციფრული პროგრამები: სატელევიზიო და რადიო გადაცემები, პროექტების ინტერნეტში გაზიარება ან კონკურსები (პრესაში, და ა. შ.)
- არსებულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით შეიმუშავეთ ერთობლივი მემკვიდრეობის იდენტიფიკაციისა და განვითარების პროექტები.

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი

ღონისძიების ნიმუში:

- “SOS Patrimoine”: ვალონიის (ბელგია, ვალონია) სასოფლო ფონდის მიერ შემუშავებული თემატური საინფორმაციო ბიულეტენები, რომლებიც გამოსადეგი იყო მემკვიდრეობის ობიექტის შენარჩუნებაში ჩართული ყველა მოქალაქისთვის.

www.frw.be



რეკომენდაცია S2

გახადეთ მემკვიდრეობა უფრო ხელმისაწვდომი

მემკვიდრეობაზე წვდომა, იქნება ეს ადგილზე თუ დაშორებული, ჩვენი მემკვიდრეობის, როგორც საერთო სიკეთის, დამატებითი ღირებულება და მიზანია. თავისი სხვადასხვა, მატერიალური თუ ვირტუალური, ფიზიკური თუ შემეცნებითი ფორმებით, ის, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს ადამიანური აღქმების მთელი დიაპაზონზე ზემოქმედებისთვის. ეს ძიება მჭიდროდ უკავშირდება ხალხი მრავალფეროვნებას და მათვის მიცემული შეთავაზებების მათეულ ინტერპრეტაციას. ის უნდა ეყრდნობოდეს პოტენციური სამიზნე ჯგუფებისა და მათი საჭიროებების სიღრმისეულ ცოდნას და იყოს მკაცრი და შემოქმედებითი, რათა მოიზიდოს და გააფართოვოს სამიზნე ჯგუფი და უზრუნველყოს მისი აქტიური ჩართულობა. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გამოცდილების განვითარებისთვის არსებობს მეთოდებისა და საშუალებების ფართო სპექტრი, ხოლო მექანიზმები მოიცავს როგორც ადამიანის მონაწილეობას, ასევე ვირტუალურ რეალობას. ციფრული ინსტრუმენტები და ქსელები, განსაკუთრებით – ინტერნეტი, გვთავაზობს ინტერაქტიულობის წახალისების ახალი გზების უპრეცედენტო შესაძლებლობებს. მემკვიდრეობა, რომელიც წარმოაჩენს კაცობრიობის შემოქმედებით გენიას საუკუნეების განმავლობაში, თავად არის შემოქმედების წყარო. მემკვიდრეობის ობიექტის აღმოჩენა აიოლებს მასზე წვდომას და მიზანს მაშინ მიიღწევა, როდესაც ადამიანთა ჯგუფს ახლო დამოკიდებულება უყალიბდება საერთო მემკვიდრეობის მიმართ.

აქტუალური გამოწვევები	S1	S2	S5	S7			
ურთიერთკავშირი	D1	D3	K1	K3			

სამოქმედო გეგმა

- მიიღეთ ობიექტის უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობისა და გრძნობელობითი აღქმის მოშლილობის მქონე მნახველებისთვის წვდომის მაქსიმალურად გამარტივების ზომები
- ჩაატარეთ კვლევები და მათი შედეგების გათვალისწინებით გააუმჯობესეთ აბრები
- ეთიკური ნორმების გათვალისწინებით ისე შეიმუშავეთ პრეზენტაციის ტექსტი და მეთოდები, რომ ის შეესაბამებოდეს სამიზნე აუდიტორიის მრავალფეროვნებას და მემკვიდრეობის მისეულ ინტერპრეტაციის
- დანერგეთ სტიმულები ცალკეული ჯგუფებისთვის (ახალგაზრდები,

იშვიათი მომხმარებლები, და ა. შ.)

- წარმართეთ კამპანიები საზოგადოების ყურადღების მისაქცევად (პრესა, საბავშვო გამოცემები, თამაშები/კონკურსები და ა. შ.)
- შექმენით მრავალენოვანი მასალები პრეზენტაციისა და ინტერპრეტაციისთვის
- შეიმუშავეთ ინტერაქტიული, სახალისო და კრეატიული საპრეზენტაციო მეთოდები
- მნახველებს გააცანით მემკვიდრეობის აღქმის სხვადასხვა გზები
- განავითარეთ მემკვიდრეობის გაცნობა-შეცნობის გზები კულტურული გამომსახველობის სხვადასხვა ფორმების (ცეკვები, მუსიკა, ტრადიციული ან ახალი ხელობები, კულინარია და ა.შ) შეხამებით და ადამიანის ბუნების სხვადასხვა მხარეებზე ზემოქმედების მეშვეობით (შეგრძნებები, გრძნობები, ცოდნა)
- შექმენით აუდიოვიზუალური პროგრამები
- უახლესი ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით ხელი შეუწყვეთ შორს მყოფი მემკვიდრეობის ნიმუშების ვირტუალურ აღმოჩენას
- შეაგროვეთ და გამოაქვეყნეთ მოქალაქეთა მონათხრობები მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ
- ხელი შეუწყვეთ მემკვიდრეობისადმი ინტერდისციპლინარულ მიდგომას

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში

- „ევროპული მემკვიდრეობის დღეების“ (ევროპა) დროს განხორციელებული ღონისძიებები

<http://pjp-eu.coe.int/en/web/ehd-jep>



რეკომენდაცია S3

გამოიყენეთ მემკვიდრეობა ევროპისა და ევროპული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების განმტკიცებისა და გადაცემისთვის

კულტურულ მემკვიდრეობას, მთელი თავისი ბრწყინვალეობით და მრავალფეროვნებით, შეუძლია დაეხმაროს ევროპის მოქალაქეებს, გადალახონ საკუთარი სპეციფიკური ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი თავისებურებების საზღვრები და ჩამოიყალიბონ და განივითარონ საერთო ისტორიისა და კუთვნილების შეგრძნება, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის ფუნდამენტური ევროპული ღირებულებების შესაბამისად. კულტურული მემკვიდრეობა გვეხმარება, აღვიქვათ ის როლი, რომელსაც ევროგენური (მატერიალური და არამატერიალური) ზემოქმედება თამაშობს დროსა და სივრცეში. მასში ხაზგასმულია საუკუნეების განმავლობაში ევროპაში იმპორტირებული

თუ ევროპიდან ექსპორტირებული ცოდნის, უნარებისა და ნოუ-ჰაუს მნიშვნელობა. გარდა ამისა, კულტურულმა მემკვიდრეობამ შეიძლება დაგვანახოს, თუ როგორ უწყობდა ხელს და რა წვლილი შეაქვს დღესაც ამგვარ გავლენებს ევროპული საზოგადოების, მისი მახასიათებლების და იდეალების მშენებლობაში.

აქტუალური გამოწვევები	S1	S2	S3	S4	S5	S6	S7	S8
ურთიერთკავშირი	D1	K1	K3	K6				

სამოქმედო გეგმა

- გამოიყენეთ მემკვიდრეობის სხვადასხვაგვარი გამოსახვა ძირითადი ევროპული ღირებულებების, ევროპული კულტურისა და საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების პოპულარიზაციისა და გავრცელებისთვის
- გამოკვეთეთ ის ფაქტი, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას აქვს ორივე – ევროპული და ადგილობრივი განზომილება
- განსაზღვრეთ და ყურადღება გაამახვილეთ იმ მატერიალურ და არამატერიალურ გარეშე ზემოქმედებაზე, რომელმაც წვლილი შეიტანა ევროპული საზოგადოებისა და ევროპული კულტურის ისტორიაში.
- დაადგინეთ და ყურადღება გაამახვილეთ იმპორტირებული ან ექსპორტირებული ოსტატობისა და ნოუ-ჰაუს გაცვლის ფაქტებზე
- გამოიყენეთ ლექსიკისა და პრეზენტაციის სხვადასხვა აუდიტორიაზე მორგებული მიდგომები, რათა წარმოაჩინოთ, რომ ჩვენი მემკვიდრეობა და ჩვენი კულტურული მრავალფეროვნება მომავალი ევროპის მნიშვნელოვანი აქტივებია.
- რამდენიმე ენაზე შექმენით აუდიოვიზუალური და ციფრული მასალა, რომლებიც დააკავშირებს ცალკეულ ობიექტს ან მოვლენას სხვა კულტურებთან
- მონაწილეობა მიიღეთ ევროპული მემკვიდრეობის დღეებში და სხვა ღონისძიებებში, რომლებშიც იკვეთება კავშირი კულტურულ მემკვიდრეობასა და ევროპულ ღირებულებებს, იდეალებსა და პრინციპებს შორის
- ენთუზიაზმის გაჩენისთვის რეგიონული და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის მაგალითების გამოყენებით გაავრცელეთ „ევროპული მემკვიდრეობის ნიშანი“ (“European Heritage Label”) სულისკვეთება

- ხელი შეუწყვეთ და საზოგადოებას გააცანით „კულტურის ევროპული დედაქალაქები“
- შეადგინეთ ევროპული მემკვიდრეობის კოლექტიური და ინტერდისციპლინარული ისტორია

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში

- „ევროპა ნოსტრას“ („Europa Nostra“) ჯილდო და „ევროპული მემკვიდრეობის ნიშანი“. ფ. ლისტის მუსიკალური აკადემია (უნგრეთი)



რეკომენდაცია S4

მხარი დაუჭირეთ მემკვიდრეობას, როგორც შეხვედრის ადგილს და კულტურათაშორისი დიალოგის, მშვიდობისა და შემწყნარებლობის საშუალებას

კულტურის ძეგლები, ობიექტები და კულტურული დაწესებულებები იდეალური ადგილებია ანტიკური აგორას სტილში შეხვედრისა და დიალოგისთვის. როგორ საერთო სიკეთე, მემკვიდრეობა აძლიერებს მოქალაქეებისა და ვიზიტორებისთვის საერთო საჯარო სივრცის ღირებულებას. გარკვეული ობიექტები ან ძეგლები საჭიროებს შეთანხმების პროცესებს, რათა სამართლიანად გადაწყდეს სიტუაციები, როდესაც ადამიანთა სხვადასხვა ერთობები ერთსა და იმავე მემკვიდრეობას ურთიერთსაპირისპირო ღირებულებებს ანიჭებენ. თავისი მემკვიდრეობის გახსნით და თავიანთი ცოდნისა და სულისკვეთების სხვისთვის გაზიარებით კერძო მესაკუთრეებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ მემკვიდრეობის გაზიარებაში, რაც სტიმულს აძლევს აზროვნებას და ხელს უწყობს დიალოგს.

აქტუალური გამოწვევები	S1	S2	S3	S4	S5	S6	S7	S8
<i>ურთიერთკავშირი</i>	<i>K1</i>	<i>K2</i>	<i>K3</i>					

სამოქმედო გეგმა

- წინ წამოწიეთ საჯარო სივრცეში მდებარე ადგილების და ძეგლების ისტორია და ღირებულება აგორას უწყვეტობის შესანარჩუნებლად, შესაქმნელად ან აღსადგენად
- საჯარო ადგილების შეხვედრის ადგილებად გამოყენების გამარტივების მიზნით წახალისეთ ურბანული განვითარება, რომელიც შერწყმულია კულტურულ მემკვიდრეობასთან

- მხარი დაუჭირეთ და წახალისეთ საჯარო და კერძო ინიციატივები, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობას განხილვის, საუბრისა და შემოქმედების ადგილად იყენებს.
- შეიმუშავეთ თხზულებები, რომლებშიც რომლებიც ხაზგასმით იქნება წარმოჩენილი ის კულტურათაშორისი ღირებულებები, რომლებიც, შესაძლოა, აღმოჩნდეს მოძრავ, უძრავ და არამატერიალურ მემკვიდრეობაში
- მონაწილეობა მიიღეთ ევროპის საბჭოს კულტურათაშორისი ქალაქების პროგრამაში

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში

- „სხვა ამბავი“. კულტურათაშორისი ნაკვალევი ბრერას მუზეუმში (იტალია)
<http://valorizzazione.beniculturali.it/it/notizie/259-brera-unaltra-storia-percorsi-interculturali-nel-museo.html>



რეკომენდაცია S5

წახალისეთ და შეაფასეთ მოქალაქეთა მონაწილეობის მეთოდები და პროცედურები

მოქალაქეთა მონაწილეობა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროშიც, დემოკრატიული პროცესის ნაწილია. ეს არის პოლიტიკური ნების და მოქალაქეობრივი თვითშეგნების გადაკვეთის შედეგი. იგი ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, სიამოვნება მიიღონ მემკვიდრეობიდან და, ამავდროულად, გააცნობიერონ მემკვიდრეობაზე საკუთარი ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობა. ქვეყნების უმრავლესობას აქვს ორგანიზებულ ან სხვაგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარკვეული ფორმები. არსებული მეთოდებისა და პროცედურების, მათი გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ისევე, როგორც მათი ეფექტურობისა და ზემოქმედების შეფასება გვეხმარება, გავაერთიანოთ ის, რასაც უკვე მივაღწიეთ და კულტურული მემკვიდრეობის სასიკეთოდ მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების მიზნით შევიმუშაოთ სხვა სამოქმედო მიმართულებები.

აქტუალური გამოწვევები	S1	S3	S5	S6	S7		
ურთიერთკავშირი	D1	D7	K1	K7			

სამოქმედო გეგმა

- დაადგინეთ მოქალაქეთა მონაწილეობის ხელისშემშლელი ბარიერები და წამოაყენეთ გადაჭრის შემოთავაზებული გზები.
- შეაფასეთ არსებული პრაქტიკა და მეთოდები კულტურული მემკვიდრეობის მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის განვითარების მიზნით: იდენტიფიკაცია, აღწერა, ინტერპრეტაცია, ხელშეწყობა.
- ასეთი შეფასების შედეგების საფუძველზე, მოახდინეთ არსებული პროცედურების ადაპტირება მოქალაქეთა მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით
- განახორციელეთ ახალი ერთობლივი მიდგომები

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში

- დუბროვნიკის ანტიკვარული ნივთების მეგობართა საზოგადოება (ხორვატია)
<http://citywallsdubrovnik.hr/drustvo/?lang=en>



რეკომენდაცია S6

შექმნით შესაფერისი სისტემა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებებს და ადამიანთა ჯგუფებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ სათანადო ზომები საკუთარი მემკვიდრეობის ინტერესებში და მის სამართავად

მოქალაქეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, გამოხატონ თავისი მოლოდინები და ჩაერთონ საკუთარი მემკვიდრეობის მართვაში. ეს გამოიხატება ჯგუფების შექმნით ადამიანებისგან, რომლებიც დიდად აფასებენ იმ კულტურული მემკვიდრეობის თავისებურებებს, რომელთა დაცვისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის სურვილიც აქვთ, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის კონტექსტში, ასევე ამ კონტექსტის გარეთ. ამასთან ერთად, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ამგვარ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების გამოყენებას. აუცილებელი სისტემის აწყობა შეიძლება გასცდეს მემკვიდრეობის პოლიტიკის ფარგლებს და მოითხოვოს ღონისძიებების გატარება სხვა საჯარო სექტორებშიც.

აქტუალური გამოწვევები	S1	S2	S4	S5	S6	S7
ურთიერთკავშირი	K1	K6	D1	D7		

სამოქმედო გეგმა

- ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს, ადგილობრივ ხელისუფლებებსა და ყველა შესაბამის დაინტერესებულ სუბიექტს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარების მიზნით მოახდინეთ მოქმედი კანონმდებლობისა და პროცედურების ადაპტირება
- წახალისეთ განხილვები და საჯარო დებატები კულტურული მემკვიდრეობის აქტუალურ საკითხებზე და მისაღებ მიმართულებებზე
- მოიწვიეთ მოქალაქეები, მონაწილეობა მიიღონ მემკვიდრეობის აღწერის, გამოკვლევისა და დაცვის იმ სამუშაოებში, რომლებიც, ექსპერტების აზრით, უზრუნველყოფს ხარისხის შესაბამის დონეს
- გამოიყენეთ ყველა ის შესაძლო საშუალება, რომელიც გააიოლებს მოქალაქეთა ჩართულობას კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის, შესწავლის, ინტერპრეტაციის, დაცვის, შენარჩუნებისა და წარდგენის პროცესებში.
- ხელი შეუწყვეთ ერთობლივი ფინანსური რესურსების შეგროვებას
- შეიმუშავეთ მემკვიდრეობის მფლობელ პირთა ჯგუფების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის წესები
- ხელი შეუწყვეთ მოსახლეობის მონაწილეობით და მემკვიდრეობის, როგორც აქტივის გათვალისწინებით რეგიონული განვითარებისა და დაგეგმვის დოკუმენტების პროექტების მომზადებას

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში

- კულტურით და მემკვიდრეობით დაინტერესებულ მხარეთა რეგიონული საკონსულტაციო კონფერენცია, ლუარის რეგიონი (საფრანგეთი)
www.culture.paysdelaloire.fr/politiques-culturelles/conference-regionale-consultative/



რეკომენდაცია S7

შექმენით თანამონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის პროგრამები და ხელი შეუწყვეთ მათ გავრცელებას

უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობა უნდა განისაზღვროს მანამ, სანამ მოსახლეობა აღიარებს მას და აიღებს მასზე პასუხისმგებლობას და სანამ დაიწყება მართვისა და პოპულარიზაციის პროცესები. ასეთ ერთობლივ სქემებში მონაწილეობა მოქალაქეებისთვის თვითრეალიზაციის წყაროა; იგი, ასევე, ყურადღებას აპყრობს უშუალო გარემოს, რომელსაც მოგვიანებით უფრო ფართო შედეგები აქვს. მოსახლეობა იგრძნობს რეგიონისადმი კუთვნილებისა და ხარისხიანი საცხოვრებელი გარემოს

მნიშვნელობაა; ეს კი მემკვიდრეობაზე კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობის სტიმულირების საწინდარია.

აქტუალური გამოწვევები	S2	S4	S5	S6	S7	S8	
ურთიერთკავშირი	K1	K2	K3	D3			

სამოქმედო გეგმა

- ერთობლივად ინვენტარიზაციის მიზნით შექმენით ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმები
- ექსპერტების დახმარებით, შექმენით სხვადასხვა აუდიტორიაზე (სრულწლოვანები, ბავშვები, ასაკოვანი ადამიანები და ა. შ.) გათვლილი ერთობლივი პროგრამები და პროექტები სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე მემკვიდრეობის გამოსავლენად.
- უზრუნველყავით დაწვრილებით თემატური აღრიცხვის მხარდაჭერა
- წახალისეთ პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ხელობების დიდი მრავალფეროვნების თავმოყრას
- ხელი შეუწყვეთ იმ პროექტების გავრცელებას, რომლებიც ხელს უწყობს უკვე დადგენილი ობიექტების კონტექსტუალიზაციას და დარწმუნდით, რომ მათი მემკვიდრეობად კლასიფიცირება არ აცალკევებს მათ თავისი ბუნებრივი გარემოდან და კონტექსტიდან.
- განახორციელეთ პროექტები, რომლებსაც ახლავს სასწავლო კურსები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სესიები
- პრიორიტეტი მიანიჭეთ განადგურების პირას ან საფრთხეში მყოფი მემკვიდრეობის აქტივების აღრიცხვას

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში

- „ინტერრეგის“ („Interreg“, ევროკავშირი) პროექტებით განხორციელებული ღონისძიება, რომელშიც გამოყენებული იყო ეს მიდგომა მემკვიდრეობის მიმართ, მაგ. „Trans-Formation du patrimoine“:

<http://muap.be/projets/le-projet-trans-formation-du-patrimoine-interreg-iv>



რეკომენდაცია S8

წახალისეთ ადგილობრივი თემების და ხელისუფლებების მხრიდან წამოსული ინიციატივები მემკვიდრეობის რეაბილიტაციის თაობაზე

აღიარებულ მემკვიდრეობასთან ერთად არსებობს სხვა ობიექტები, ნივთები, წეს-ჩვეულებები, აქტივობები და ტრადიციები, და ადამიანები, ვინც მათ ცოცხლად ინახავს, რომელთა აღიარება მოქალაქეებს შეუძლიათ, როგორც მათი ღირებულებების, ცოდნის და შეხედულებების მუდმივად განვითარებადი გამოხატულება. საჭიროა მოქმედება იმის უზრუნველსაყოფად, რომ უგულვებელყოფილი არ იქნას მემკვიდრეობის ასეთი ფორმები, რომლებიც ხშირად არც კი არის აღიარებული. მატერიალური და არამატერიალური საშუალებებით ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი ხელისუფლებებისა და მოსახლეობის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია მათი კოლექტიური მემკვიდრეობის მთელი პლასტების დავიწყებისგან გადარჩენისკენ. ეს, პირველ რიგში, ეხება მათგან ყველაზე ნაკლებად მყარს. მნიშვნელოვანია, მხარი დაუჭიროთ და დაეხმაროთ იმ ინიციატივებს, რომლებიც, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ზეპირ გადაცემას და მისი მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი მხარის მთავარი ელჩია, საკუთარი, ახალმოსახლეთა და ტურისტების ინტერესებში.

აქტუალური გამოწვევები	S2	S3	S4	S5	S6	S8
ურთიერთკავშირი	D1	D4	K1	K2	K3	K8

სამოქმედო გეგმა

- გააუმჯობესეთ მოქალაქეთა ცოდნა და ინფორმირებულობა მემკვიდრეობის შესახებ, რათა საშუალება მისცეთ მათ, შეგნებულად ჩაერთონ ამ საქმიანობაში.
- აჩვენეთ, თუ რა ძალისხმევას მიმართავს ადგილობრივი თემები დავიწყებული მემკვიდრეობის გამოვლენის და რეაბილიტაციისთვის (იდენტიფიკაცია და აღმოჩენა, მოვლა, პოპულარიზაცია)
- ადგილობრივი მაცხოვრებლების გამოცდილებაზე დაყრდნობით მხარი დაუჭირეთ ზეპირი ტრადიციების გადაცემას
- მხარი დაუჭირეთ „ხსოვნისა და ისტორიის გადაცემის“ ადგილობრივ ინიციატივებს: ვიზიტებს, ჩანაწერების შედარებას და მოგონებების გაცვლას, ანგარიშებს, პუბლიკაციებს და ა. შ.
- ასწავლეთ მაცხოვრებლებს, თუ როგორ უნდა გახდნენ თავისი ტერიტორიის (დაბის/ქალაქის, უბნის, გარემოცვის) „ელჩები“, რათა მათ შეძლონ თავისი ცოდნის გაზიარება, იამაყონ ტერიტორიითა და მისი მემკვიდრეობით და

გამოხატონ მათი ერთგულება.

- მხარი დაუჭირეთ მოქალაქეებსა და კულტურულ მემკვიდრეობას შორის (ინტელექტუალური, ემოციური, მატერიალური, და ა. შ.) კავშირების შექმნას ან ხელახლა ამოქმედებას.

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი

ლონისძიების ნიმუში

- ხელმისაწვდომობა, როგორც ნანტის მაცხოვრებელთა მიერ შატო-მუზეუმის საკუთრებაში დაბრუნების საშუალება, ნანტი (საფრანგეთი)
www.chateaunantes.fr/en/access



რეკომენდაცია S9
 მხარი დაუჭირეთ თაობათაშორის და კულტურათაშორის პროექტებს მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის

მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის უკვე არსებობს უამრავი თაობათაშორისი და კულტურათაშორისი პროექტი, რომლებიც იმსახურებს მხარდაჭერასა და განვითარებას. სანაცვლოდ, ეს პროექტები, რომლებიც დიალოგს, მრავალგვარი გამოცდილების პატივისცემასა და კულტურული მემკვიდრეობის წყაროებს, ასევე მათ გაცვლას ეყრდნობა, დაინტერესებულ სუბიექტებს აძლევს საშუალებას, რომ სრულად გახსნან საკუთარი პოტენციალი და გააძლიერონ სოციალური ერთობა.

აქტუალური გამოწვევები	S1	S3	S4	S5	S6	S8	
ურთიერთკავშირი	K2	K4	D1	D3			

სამოქმედო გეგმა

- განავრცეთ სწავლაზე დამყარებული გამოცდილება, რომ ბავშვებს და ახალგაზრდებს შეეძლოთ უფროსებისგან ისწავლონ და პირიქით: ობიექტის გამოკვლევა, ქვის ჭრა, მშრალი წყობით მშენებლობა და გადახურვა, ფერადი მინა, ისტორიის სემინარები, მემკვიდრეობის რესურსების ხელახალი, ციფრული გამოყენება და ა. შ.
- ჩამოაყალიბეთ კლუბები, სადაც ადამიანებს შეეძლებათ ცოდნისა და ნოუ-ჰაუს გაცვლა
- მიეცით საშუალება იმ ადამიანებს, რომლებიც არ ხმარობენ ახალ

ტექნოლოგიებს, გაეცნონ მათ გამოყენებას.

- ობიექტის რესტავრაციის სამუშაოების დროს მხარი დაუჭირეთ მრავალფეროვნებას, ასაკის, სოციალური ფონის, წარმოშობის ქვეყნის, უნარშეზღუდულობის და სხვ. თვალსაზრისით
- წახალისეთ შერეული მაცხოვრებლებით (სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები, სხვადასხვა საქმიანობები, წარმოშობის ადგილი და ა. შ.) დასახლებული მემკვიდრეობის ძეგლების ან უბნების შესახებ შეხვედრებების გაცვლას.

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი

ღონისძიების ნიმუში

- „პრაქტიკული სწავლების“ სემინარები, რომლებიც, სხვადასხვა ხელობების პრაქტიკული გამოცდილებისა და თაობათაშორისი გაცვლის მეშვეობით ეხმარება ბავშვებს განვითარებაში (საფრანგეთი)
- www.loutilenmain.fr



რეკომენდაცია S10

ხელი შეუწყვეთ და წახალისეთ (საჯარო და კერძო) ამხანაგობები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების პროექტებში

მემკვიდრეობის გაფართოებული ცნებისა და ერთობლივი მმართველობის კონტექსტში, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ შექმნიდით საჯარო-კერძო ამხანაგობებს მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და შენარჩუნების პროექტებისთვის. ერთობლივი მმართველობა გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეთა ჩართულობას პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, საწყისი იდეიდან დაწყებული, განხორციელებითა და დაფინანსებით დასრულებული. შესაბამისად, უნდა წახალისდეს და განვითარდეს დაფინანსებისა და სხვადასხვა შემოწირულობების ალტერნატიული წყაროები, რაც შესაძლებელს გახდის მოქალაქეთა მოლოდინის უფრო მეტად გათვალისწინებას.

დამატებითი დაფინანსების მსგავსმა ძიებამ ხელი უნდა შეუწყოს დამატებითი რესურსებით უზრუნველყოფას და არ უნდა გახდეს საბაზი სახელმწიფოსთვის, პროცესს გამოეთიშოს. პირიქით, მსგავსი ახალი პრაქტიკა საჭიროებს მნიშვნელოვან სახელმწიფო ინვესტიციას და სათანადო ეთიკურ კოდექსებს მემკვიდრეობის ბუნების, მთლიანობისა და მნიშვნელობის შესანარჩუნებლად, საერთო პროექტის ღირებულებებისადმი ერთგულების მეშვეობით.

აქტუალური გამოწვევები	S1	S2	S4	S5	S6	S7	S8
ურთიერთკავშირი	D1	D5	D7				

სამოქმედო გეგმა

- განსაზღვრეთ კომპანიები, რომლებიც შესაძლოა დაინტერესებული იყვნენ პარტნიორობით მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით.
- ჩართეთ შესაბამისი ორგანოები (საკონსულო პალატები, ფირმათა ჯგუფები, სპონსორების ჯგუფები) ამხანაგობების შესაქმნელად და წასახალისებლად
- გააღრმავეთ პოტენციური პარტნიორების ცოდნა იმ სიკეთეების შესახებ, რაც საზოგადოებისთვის მოაქვს მემკვიდრეობას
- მოამზადეთ წესდებების პროექტები, რომლებიც აყალიბებს პროექტში მონაწილე პარტნიორების მიერ დასაცავ ეთიკურ სტანდარტებს: რა მოეთხოვებათ მათ და რა სარგებელს შეიძლება მოელოდნენ
- გააქტიურეთ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-რესტავრაციისთვის და სპეციალური გაუმჯობესებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებებისთვის განკუთვნილი დაფინანსების წყაროების მოძიება
- მიიღეთ სათანადო ზომები კულტურული მემკვიდრეობის პატრონაჟისა და დაფინანსების წასახალისებლად
- მხარი დაუჭირეთ საწვრთნელ სამუშაო ადგილებს და ღონისძიებებს, სადაც მოხალისეები პროფესიონალებთან ერთად იმუშავებენ
- მხარი დაუჭირეთ და წახალისეთ ნებაყოფლობითი მუშაობა
- წახალისეთ ყველა სახის შემოწირულობები: დრო, მასალები, ინსტრუმენტების/ხელსაწყოების თხოვება და ა. შ.
- პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებისა და კულტურის დაწესებულებებთან და საჯარო ორგანოებთან კავშირების გაძლიერების მიზნით, წახალისეთ მოქალაქეთა მხრიდან მემკვიდრეობის იმ პროექტებისთვის შემოწირულობა, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე (მაგ. ე.წ. „ქრაუდფანდინგი“)

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში

- Lottery Fund (გაერთიანებული სამეფო)
www.biglotteryfund.org.uk



D



VI.II ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების კომპონენტი (D)

„ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების“ კომპონენტი ყურადღებას ამახვილებს ურთიერთკავშირზე კულტურულ მემკვიდრეობასა და სივრცულ დაგეგმარებას, ეკონომიკას და ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებას შორის, მდგრადი განვითარების პრინციპების სათანადო გათვალისწინებით.

გამოწვევები

- D1. უფრო ერთიანი და შეკრული საზოგადოების მშენებლობა
- D2. ევროპის კეთილდღეობის განვითარება მისი მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით
- D3. ევროპელებისთვის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა ჰარმონიულ კულტურულ და ბუნებრივ გარემოში
- D4. კომპლექსური მოვლა-შენახვის პრინციპის განხორციელება
- D5. მდგრადი სივრცული დაგეგმარების სტრატეგიებსა და პროგრამებში მემკვიდრეობის გათვალისწინების უზრუნველყოფა,
- D6. საჯარო სამსახურების მიერ მემკვიდრეობის უკეთესად გამოყენების გზით მდგრადი სივრცული დაგეგმარების პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარება
- D7. საჯარო სამსახურების მიერ მემკვიდრეობის პრობლემების გადაჭრის უნარის შენარჩუნება და განვითარება
- D8. მემკვიდრეობით სარგებლობისა და მრავალჯერადი გამოყენების ზრდა



რეკომენდაციები



რეკომენდაცია D1

ხელი შეუწყვეთ კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც რესურსს და გაამარტივეთ ფინანსური ინვესტიციების განხორციელება

მემკვიდრეობა წარმოადგენს შეუცვლელ აქტივს, რომელსაც გააჩნია მაღალი კულტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სამეცნიერო ღირებულება. მისი რესურსები გრძელვადიანი აქტივებია, რომლებიც ხელს უწყობს ტერიტორიების მდგრად განვითარებას და მართვას. ეკონომიკურ, კულტურულ,

სოციალურ და გარემოს დაცვის სფეროებზე მემკვიდრეობის მრავალგვარი დადებითი ზეგავლენის დემონსტრირება შესაძლებელია რიგი ფაქტებით (რომელთა რაოდენობა მატულობს), რომლებსაც შეუძლია ნებისმიერი ინვესტორის დარწმუნება (ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები, კერძო მესაკუთრეები, ბიზნესები, ფილანთროპები, არასამთავრობო ორგანიზაციები). მემკვიდრეობაში ინვესტიციის ჩადება წარმოადგენს ეკონომიკის განვითარებაში პირდაპირი და არაპირდაპირი წვლილის შეტანის საშუალებას.

აქტუალური გამოწვევები	D2	D3	D4	D5	D6	D7
ურთიერთკავშირი	S2					

სამოქმედო გეგმები

- მხარი დაუჭირეთ და წარმოაჩინეთ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ისეთი პროექტები, რომლებიც სათანადოდ ითვალისწინებს მის მთლიანობას
- დანერგეთ ან განამტკიცეთ სტიმულები (გრანტები, საგადასახადო შეღავათები, და ა. შ.) კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და მართვის, ასევე მემკვიდრეობის შესახებ განათლებისთვის
- მოიყვანეთ მაგალითები, რათა აჩვენოთ, რა დადებითი ზეგავლენა აქვს მემკვიდრეობას საზოგადოებასა და ტერიტორიაზე, ასევე ინვესტიციიდან მიღებულ შემოსავალზე
- ხაზი გაუსვით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პროექტებიდან მიღებულ სხვადასხვა წვლილს
- მხარი დაუჭირეთ (ცოდნასა და ხელობასთან დაკავშირებულ) საინვესტიციო პროექტებს კულტურულ მემკვიდრეობაში, როგორ შემოქმედებითი ეკონომიკის მხარდამჭერ და მასში წვლილის შემტან სტრატეგიულ ფაქტორს

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუშები

- ანგარიში „კულტურული მემკვიდრეობის რაოდენობა ევროპაში“ („Cultural Heritage counts for Europe“), 2015 (ევროპა)
www.theheritagealliance.org.uk/cultural-heritage-counts-for-europe/
- არტ ბონუსი Art Bonus (იტალია): შემოწირულობების გზით კულტურის მხარდაჭერის შეღავათიანი საგადასახადო სქემა <http://artbonus.gov.it/>



რეკომენდაცია D2

მხარი დაუჭირეთ და წახალისეთ მემკვიდრეობის სექტორი, როგორც სამუშაო ადგილებისა და ბიზნეს-შესაძლებლობების შექმნის საშუალება

ევროკავშირის შეფასებით, მემკვიდრეობის სექტორში წარმოდგენილია დაახლოებით 300,000 პირდაპირი და 7 მილიონი არაპირდაპირი სამუშაო ადგილი. როგორც უამრავი სამუშაო ადგილის შემქმნელი სექტორი, იგი ფარავს უნარებისა და კვალიფიკაციების სხვადასხვა დონეებისა და როლების მქონე პროფესიების ფართო სპექტრს (კონსერვაცია და რესტავრაცია, ინჟინერია და ტექნიკური მომსახურება, ადმინისტრირება და მართვა, გამოკითხვები და პოპულარიზაცია, კვლევა, განსაკუთრებული ტექნიკური განვითარება, ინტერპრეტაცია და სხვა საქმიანობები და ა. შ.), რომლებიც მრავალ სხვადასხვა ტექნოლოგიას საჭიროებს. სამუშაო ადგილების პოვნა, იქნება ეს მუდმივი, სეზონური თუ დროებითი, შეიძლება საჯარო, კერძო და ინდივიდუალურ ნებაყოფლობით და ასევე, მათთან დაკავშირებულ სექტორებში. განსაკუთრებით კი ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი, ვაჭრობა, კვლევა და განათლება. მემკვიდრეობაში ინვესტირებას წვლილი შეაქვს დასაქმებაში და შედეგად, ხელს უწყობს ერთიანი და შეკრული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

აქტუალური გამოწვევები	D1	D2	D3	D5	D6	D7
ურთიერთკავშირი	K2	K5	S8			

სამოქმედო გეგმები

- ხელი შეუწყვეთ ურთიერთობის დამყარებას მემკვიდრეობის სექტორსა და ეკონომიკასა და დასაქმებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს შორის.
- გამოიყენეთ მემკვიდრეობის სექტორი პროფესიული ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის ხელშესაწყობის მიზნით
- გაამარტივეთ ძალიან პატარა, მცირე და საშუალო საწარმოების წვდომა სახელმწიფო შესყიდვებზე.
- საზოგადოებას, გადასახადების გადამხდელს, არჩეულ წარმომადგენლებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიაწოდეთ ინფორმაცია მემკვიდრეობის ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენის შესახებ
- მხარი დაუჭირეთ სამინისტროების მემკვიდრეობის დეპარტამენტებს, რომლებიც კვლევასა და ოსტატობების შენარჩუნებაზე არიან პასუხისმგებელი
- დანერგეთ სექტორებს შორის პოლიტიკის მიმართულებები, რაც მემკვიდრეობას სხვა სექტორებში წვლილის შეტანის საშუალებას მისცემს
- მხარი დაუჭირეთ კულტურული მემკვიდრეობის განვითარებას იმ სერვისებით და საქმიანობით, რომლებიც ემყარება კვლევას და ნოუ-ჰაუს

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ლონისძიების ნიმუში:

- მემკვიდრეობაში დასაქმების გეგმა, ვალონიის მთავრობა (ბელგია, ვალონია)
<http://prevot.wallonie.be/alliance-patrimoine-emploi-le-patrimoine-au-service-du-developpement-economique-de-la-wallonie>



რეკომენდაცია D3

მხარი დაუჭირეთ მემკვიდრეობით გადმოცემულ ხელობებს და მათ მცოდნე პროფესიონალებს

მემკვიდრეობით მიღებულ პროფესიებს თავისი წვლილი შეაქვს ადგილობრივ და მდგრად განვითარებაში და საზოგადოებაში დიდი ინტერესს იწვევს. პროფესიონალებსა და ვიზიტორებს (მაცხოვრებლებს, ტურისტებს) შორის ადგილზე გამართული დიალოგი ინოვაციური გზაა ცოდნის გადასაცემად და იმ პროფესიების მხარდასაჭერად, რომლებიც ხშირად ბევრისთვის გაუგებარია. ამ პროფესიებში ხშირად იყენებენ ტრადიციული და უახლესი ტექნიკების კომბინაციებს და ისინი, შესაძლოა, ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი აღმოჩნდეს. იგი, ასევე, წარმოადგენს გადასახადების გადამხდელთათვის სახელმწიფო სახსრების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და მემკვიდრეობის მნიშვნელობაში მათი დარწმუნების გზას.

აქტუალური გამოწვევები	D1	D3	D5	D6			
ურთიერთკავშირი	K1	K2	K4	K5	K8	S4	

სამოქმედო გეგმები

- შეადგინეთ ღონისძიებათა პროგრამები მოცემულ სფეროში მემკვიდრეობით მიღებულ ხელობებისა და მათ მცოდნე პროფესიონალების მხარდასაჭერად
- საზოგადოებისთვის გახსენით არქეოლოგიური გათხრებისა და რესტავრაციის ობიექტები (ძეგლები, ბალები, არქივები, ხელოვნების ნიმუშები, არტეფაქტები და ა. შ.)
- დაუშვით წვდომა კარიერებზე, ბოტანიკურ ბალებზე, მუზეუმებში დაცულ კოლექციებზე და ა. შ.
- ორგანიზება გაუწიეთ სახელოსნოების, ლაბორატორიებისა და სადემონსტრაციო გამოფენების გახსნას

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ლონისძიების ნიმუშები

- ევროპული მხატვრული ნაკეთობების დღეები (ევროპა)
www.journeesdesmetiersdart.fr/en-europe

- დენკმალის სამრეწველო გამოფენა ლაიპციგში (გერმანია)
www.denkmal-leipzig.com/?language=en



რეკომენდაცია D4

მომზადეთ მემკვიდრეობის ზეგავლენის კვლევები სარეაბილიტაციო, სამშენებლო, დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის

„კომპლექსური კონსერვაციის“ პრინციპის განხორციელების მეშვეობით, მემკვიდრეობის ასპექტი გარკვეულ როლს თამაშობს საქმიანობის სხვა სექტორებში და უნდა განიხილებოდეს არა როგორც შეზღუდვა, არამედ, როგორც რესურსი, განსაკუთრებით სივრცული დაგეგმარებისა და ტერიტორიის ათვისების სფეროში. მემკვიდრეობისთვის დამახასიათებელი და მისი განმტკიცებისთვის საჭირო ხარისხის მოთხოვნები გვეხმარება ხარისხის უმაღლესი დონის მიღწევაში.

აქტუალური გამოწვევები	D2	D3	D4	D5	D6		
ურთიერთკავშირი	K5						

სამოქმედო გეგმები

- უფრო ფართო მასშტაბით დანერგეთ მემკვიდრეობის ზეგავლენის კვლევები
- მხარი დაუჭირეთ არსებული მემკვიდრეობის აქტივების სარემონტო და სარეაბილიტაციო პროექტებს
- უფრო მეტად გადაამოწმეთ და ხელი შეუწყვეთ მემკვიდრეობის აქტივების კონსერვაციისა და გაუმჯობესების მიზანშეწონილობის ანალიზს, ვიდრე ახალი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, თუ ამის გაკეთება პროგრამის ფარგლებში არის შესაძლებელი

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში:

- იუნესკოს ოპერაციული ინსტრუქციები მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის ჩატარების შესახებ
<http://whc.unesco.org/en/guidelines/> ეფექტური მართვის სისტემების თვალსაზრისით ნათქვამია, რომ შემოთავაზებული ჩარევების ზემოქმედების შეფასებები არსებითია მსოფლიო მემკვიდრეობის ყველა ძეგლისთვის და, შესაძლოა, მიღებული იქნას მემკვიდრეობის სხვა კატეგორიებზე გავრცელების მიზნით.



რეკომენდაცია D5

წახალისეთ მემკვიდრეობის მრავალჯერადი გამოყენება და ტრადიციული ცოდნისა და პრაქტიკის გამოყენება

კულტურული ღირებულებების გარდა მემკვიდრეობას აქვს უდავო ეკონომიკური ღირებულებაც, რომელიც ხშირად ცუდად ან არასწორად აღიქმება. უძრავი ქონების თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს სივრცული ორგანიზაციის ორგანულ ფორმას და თავისი წვლილი შეაქვს ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირებაში. თუ გავითვალისწინებთ სამშენებლო პროექტების განხორციელებისთვის საჭირო ენერჯიას, რომელსაც ხშირად ყურადღების მიღმა ტოვებენ, მან შეიძლება არსებითად დაგვაზოგვინოს ენერჯია, რაც მას ენერგეტიკული თვალსაზრისით ახალი მშენებლობების დამაჯერებელ ალტერნატივად აქცევს.

აქტუალური გამოწვევები	D1	D2	D3	D4	D5	D6	D7
ურთიერთკავშირი	S8	K3					

სამოქმედო გეგმები

- აღიარეთ კომპლექსური კონსერვაცია და ხელი შეუწყვეთ მას, როგორც პრიორიტეტს მემკვიდრეობის სხვადასხვა პოლიტიკაში
- შემოიღეთ სტიმულები მემკვიდრეობის მოვლისა და რესტავრაციისთვის
- მოახდინეთ ეროვნული კანონმდებლობის კონსოლიდირება, რათა თავიდან იქნას აცილებული კულტურული, მოძრავი და უძრავი მემკვიდრეობის აქტივების განადგურება
- ხელი შეუწყვეთ მემკვიდრეობის ხელახალ გამოყენებას ახალი დანიშნულებით, თუმცა, ამავდროულად, პატივი ეცით მემკვიდრეობის ღირებულებებს.

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, ეროვნული, რეგიონული

ღონისძიების ნიმუშები

- უსაფრთხო საცავების შექმნა, რომლებიც აკმაყოფილებს კონსერვაციის შესაბამის პირობებს, მაგალითად, ბიბრაქტის არქეოლოგიური პარკი და კონსერვაციის და კვლევის ცენტრი ბურგუნდიაში (საფრანგეთი)

www.bibracte.fr/en



რეკომენდაცია D6

უზრუნველყავით, რომ მემკვიდრეობა გათვალისწინებული იყოს დეველოპერულ, სივრცული დაგეგმარების, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის პოლიტიკის მიმართულებებში

ევროპაში მემკვიდრეობის პოლიტიკის მიმართულებების საკვანძო პრინციპს ინტეგრირებული მიდგომა წარმოადგენს. ერთხმად არის აღიარებული, რომ მემკვიდრეობა არ შეიძლება განვიხილოთ მისი ფიზიკური და კულტურული კონტექსტისგან განცალკევებით. მაღალხარისხიანი საცხოვრებელი გარემოს განვითარების ვალდებულება გულისხმობს ორმაგ მიდგომას და მემკვიდრეობის გათვალისწინებას სხვა სექტორების პოლიტიკის მიმართულებებში, კერძოდ, სივრცული დაგეგმარების, ენერგეტიკის და გარემოს (სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მიმართულებების ჩათვლით) სფეროებში.

აქტუალური გამოწვევები	D1	D2	D3	D4	D5	D6	D7
ურთიერთკავშირი	S7	K4	K6				

სამოქმედო გეგმები

- სისტემატურად, ხელისუფლების ყველა დონეზე, სივრცული დაგეგმარების და გარემოს მართვის ყველა დოკუმენტში გაითვალისწინეთ მემკვიდრეობა
- შეიმუშავეთ პოლიტიკა და მიიღეთ კანონები, რომლებიც ამარტივებს ინტეგრირებულ მიდგომას მემკვიდრეობის მიმართ და მისი მეშვეობით
- განახორციელეთ ექსპერიმენტული საქმიანობა ძველი შენობების ენერგეტიკულ ეფექტურობასთან დაკავშირებით

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში:

- მსოფლიო მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეტანა შესაბამის რეგულაციებში (ვალონიის სივრცული დაგეგმარების, ურბანული განვითარების, მემკვიდრეობისა და ენერგეტიკის კოდექსის 209/1 მუხლი) (ბელგია, ვალონია)



რეკომენდაცია D7

გაითვალისწინეთ მემკვიდრეობა მდგრადი ტურისტული განვითარების პოლიტიკის მიმართულეებში

ტურიზმს უამრავი ფორმა აქვს და მრავალი სამიზნე აუდიტორია ჰყავს, ხოლო მემკვიდრეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივია, რომლის შეთავაზებაც ტურიზმს შეუძლია. მდგრადი ტურისტული განვითარება მოითხოვს როგორც ვიზიტორთა მოლოდინის დაკმაყოფილებას და მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ასევე ადგილობრივი მაცხოვრებლების ცხოვრების მაღალ დონეს. „ნელი მოძრაობა“, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაუმჯობესება, კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლებების არამატერიალურ მემკვიდრეობაზე, ნაკეთობებზე, ტრადიციული პროფესიების ნაწარმზე, ფესტივალებსა და წეს-ჩვეულებებზე დამყარებული ნარატივები – ყოველივე ამას წვლილი შეაქვს ეკონომიკაში, ტურისტებს სთავაზობს ნამდვილ კულტურულ გამოცდილებას და განამტკიცებს ადგილობრივ იდენტობასა და ადგილობრივი მოსახლეობის შეგრძნებას, რომ მათ ფესვები მოცემულ რეგიონში აქვთ. ნელი კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს ადამიანებისა და კულტურების შეხვედრას და ზრდის ურთიერთგაგებასა და ურთიერთჰატივისცემას. არსებითი მნიშვნელობა აქვს არსებული ტურისტული ობიექტების უფრო მრავალფეროვნად წარმოჩენას და ეფექტურ რეკლამირებას, რათა შემცირდეს იმ ადგილების დატვირთვა, რომლებიც ძალიან ბევრ ტურისტს იზიდავს და მეტი ყურადღება მიექცეს ნაკლებად ცნობილ ადგილებს. კონტექსტის მიხედვით უნდა გადაწყდეს ტურისტული აქტივობის წახალისების, განვითარების, რეგულირებისა და შეზღუდვის საკითხები.

აქტუალური გამოწვევები	D1	D2	D3	D4	D5	D6
ურთიერთკავშირი	S4	S6	S8	K3	K7	K8

სამოქმედო გეგმები

- ეროვნულ დონეზე შეადგინეთ ხელშეკრულებები კულტურის, მემკვიდრეობისა და ტურიზმის შესახებ
- ორგანიზება გაუწიეთ ტურისტულ საქმიანობას, რომელიც აერთიანებს მემკვიდრეობის აქტივებს და ადგილობრივ ნოუ-ჰაუსს
- ნებისმიერ ტერიტორიაზე, ტურიზმის ხელშეწყობის პროცესში გონივრულად წარმოაჩინეთ მისი კულტურული მემკვიდრეობა
- ორგანიზება გაუწიეთ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციებს,

კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების საფუძველზე მდგრადი და პასუხისმგებლობის გრძნობაზე დამყარებული ტურიზმის ხელშესაწყობად,

- კულტურის სფეროში ჩართულ სუბიექტებს (პროფესიონალებს, მიმწოდებლებს) მიაწოდეთ ინფორმაცია და აუმაღლეთ ცნობიერება კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობის, მისი პოტენციალისა და მისი მოწყვლადობის თაობაზე
- განავითარეთ თანამშრომლობა პროფესიებსა და დარგებს შორის
- ერთობლივად შეიმუშავეთ ტურისტებისთვის განკუთვნილი მასალები (გზამკვლევები, ვირტუალური ტურისტული გიდები, გიდები ადგილობრივი ვიზიტორებისთვის და ა. შ.)
- შეაფასეთ ნეგატიური გავლენები და გაითვალისწინეთ შემზღუდავი რეგულაციები

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში:

- ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები (ევროპა)
www.coe.int/t/dg4/cultureheritage/culture/routes/default_EN.asp



რეკომენდაცია D8

დაიცავით, აღადგინეთ და გააუმჯობესეთ მემკვიდრეობა ახალი ტექნოლოგიების უფრო ფართოდ გამოყენებით

მემკვიდრეობის დაცვა, აღდგენა და გაუმჯობესება გულისხმობს ცვლად კონტექსტში ახალი გადაწყვეტების განუწყვეტელ ძიებას, მულტიდისციპლინარული და დისციპლინათაშორისი კვლევების განხორციელებას, ახალი მოდელების და მეთოდების გამოცდას და ახალი ტექნოლოგიების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობას.

აქტუალური გამოწვევები	D2	D4	D6	D8			
ურთიერთკავშირი	K5	K6	K7				

სამოქმედო გეგმები

- სპეციალისტებთან თანამშრომლობით მემკვიდრეობის სფეროში დაკავებულებს მიაწოდეთ ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიების შესახებ, მათ

შორის, მათი პოტენციალისა და შეზღუდვების შესახებ

- ჩაატარეთ სარესტავრაციო სამუშაოების შესრულებამდე ჩაატარეთ წინასწარი კვლევები არაინვაზიური ტექნოლოგიების გამოყენებით (გაციფვრა, დამატებითი რეალობის ტექნოლოგიები, სამგანზომილებიანი სკანერები, მოდელირება, დრონები, LiDAR და ა. შ.)
- გამოიყენეთ არაინვაზიური კვლევის ტექნოლოგიები მიუწვდომელი და მსხვერვალი ობიექტების შესასწავლად
- შექმენით მემკვიდრეობის გამოსახულებები/სურათები ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით (მოდელირება, სამგანზომილებიანი პრინტერით ბეჭდვა)

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში:

- არქეოლოგიური კვლევა არქეოლოგიურ ობიექტზე, LiDAR-ის გამოყენებით (სტოუნჰენჯი, გაერთიანებული სამეფო)

www.wessexarch.co.uk/stonehenge/explore-stonehenge-landscape-lidar-survey



რეკომენდაცია D9

გამოიყენეთ ინოვაციური ტექნოლოგიები კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებისთვის წარსადგენად, ისე, რომ იმავდროულად შეინარჩუნოთ მისი მთლიანობა

საქმიანობის წარმოჩენის პროცესში სრულად, მაგრამ გონივრულ ფარგლებში უნდა იქნას გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიები და მიდგომები, რათა გადაიღახოს ორმაგი გამოწვევა – კულტურული მემკვიდრეობის მთლიანობის შენარჩუნება და მისი მაქსიმალურად ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად ქცევა.

აქტუალური გამოწვევები	D3	D4	D5				
ურთიერთკავშირი							

სამოქმედო გეგმები

- განსაზღვრეთ ოპტიმალური წვდომის ან მონახულების პირობები და მოძებნეთ მათი მიღწევის გზები
- წარმოადგინეთ სივრცე ან ობიექტი, რომელიც გაუჩინარდა, მიუწვდომელია, მოწყვლადია, ან კონტექსტიდან არის ამოვარდნილი

- ალადგინეთ ან შექმნით არტეფაქტები
- მოაწყვეთ ექსკურსიები მგრძობიარე ზონებში
- ჩართეთ ადგილობრივი დაინტერესებული სუბიექტები და მაცხოვრებლები ინოვაციური დაწესებულებების ჩამოყალიბებაში

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული

Examples of action

- გამოქვაბულების ზედმიწევნით ზუსტი რეკონსტრუქცია (შოვე, ლასკო, ალტამირა)
- შოვე
<http://en.cavernedupontdarc.fr/>
- ლასკო
www.lascaux.culture.fr/
- ალტამირა
http://en.museodealtamira.mcu.es/Prehistoria_y_Arte/la_cueva.html



რეკომენდაცია D10

გამოიყენეთ კულტურული მემკვიდრეობა, როგორც რეგიონისთვის განსაკუთრებული ხასიათის მიმცემი საშუალება, რომელიც მას უფრო მიმზიდველს და ცნობადს გახდის

გარდა იმისა, რომ მემკვიდრეობად აღიარებულ კულტურულ ნაწარმზე გავლენას ახდენს ადგილები და რეგიონები, სადაც ისინი გვხვდება, ისინი ამ ადგილების გამორჩეული და ხშირად – ხანგრძლივ მახასიათებელსაც წარმოადგენს და ამით თავისი წვლილი შეაქვს რეგიონის ხასიათში. ამგვარად, მემკვიდრეობა, მატერიალურიც და არამატერიალურიც, იმ აქტივს წარმოადგენს რეგიონის სოციალური და ეკონომიკური მიმზიდველობისა და რეპუტაციისთვის, რომლის გავლენა გაძლიერდება სხვა ფაქტორებთან შეხამებით.

აქტუალური გამოწვევები	D1	D2	D3	D4	D5	D6
ურთიერთკავშირი	K2	K3	K6			

სამოქმედო გეგმები

- განსაზღვრეთ რეგიონის აქტივები, მათ შორის, მემკვიდრეობა, მთელი მისი

მრავალფეროვნებით

- ჩაატარეთ კრიტიკული და მომავალზე ორიენტირებული ანალიზი, რომელიც მოიცავს მემკვიდრეობის სექტორის წვლილს და ინტელექტუალურ მხარდაჭერას
- შეინარჩუნეთ, ან მდებარეობა შეუცვალეთ ტრადიციულ ეკონომიკურ საქმიანობებს
- წარმოაჩინეთ მემკვიდრეობის გრძელვადიანი თვისებები (ადგილობრივი რესურსების, მიწოდების და დისტრიბუციის ადგილობრივი სისტემების გამოყენება და ა. შ.)
- ხელი შეუწყვეთ ეთიკურ ბრენდირებას (იმიჯის მართვა მემკვიდრეობის სათანადოდ გათვალისწინებით)
- შეადგინეთ ტერიტორიული მართვის ქარტია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მემკვიდრეობა

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული

Examples of action

- ლიდერი პროექტები (ევროკავშირი): ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (GAL)
www.europe-centre.eu/fr/42/Le_programme_LEADER.html
- ევროპის საბჭოს ადგილობრივი განვითარების საპილოტე პროექტები (LDPP)
www.coe.int/t/dg4/cultureheritage/cooperation/SEE/LDPP/default_en.asp



რეკომენდაცია D11

შექმენით მართვის ახალი მოდელები, რათა უზრუნველყოთ, რომ მემკვიდრეობამ სარგებელი მიიღოს მისგან ნაწარმოები დამატებითი გვერდითი ეკონომიკური პროდუქტებისგან

მემკვიდრეობა საკვანძო კომპონენტია, რომელიც რეგიონს მოსახლეობისთვის, ეკონომიკური მოთამაშეებისა და ტურისტებისთვის მიმზიდველს აქცევს. ძალიან ხშირად თვლიან, რომ ის სახელმწიფო სახსრების გადინებას ახდენს, თუმცა არ ითვალისწინებენ მის არაპირდაპირ დადებით გავლენას უძრავ ქონებაზე და შესაბამისი ზონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მართვის ახალმა მოდელებმა მემკვიდრეობას საშუალება უნდა მისცეს, რომ ნაწილობრივ მაინც მიიღოს შემოსავალი იმ დამატებითი ღირებულებიდან, რომელსაც იგი გამოიმუშავებს. ამგვარი დაფინანსება პრიორიტეტულად უნდა იქნას გამოყენებული კონსერვაციის მიზნებისთვის.

აქტუალური გამოწვევები	D1	D2	D3	D4	D6		
ურთიერთკავშირი	S6	S8	K7				

სამოქმედო გეგმები

- აამაღლეთ ცნობიერება და ჩაუნერგეთ პასუხისმგებლობის გრძნობა ადგილობრივ ეკონომიკაში დასაქმებულ ადამიანებს იმ თვალსაზრისით, თუ რა გავლენა აქვს მემკვიდრეობას მათ საქმიანობაზე
- ხელი შეუწყვეთ მემკვიდრეობის ფონდების შექმნას, რომლებშიც შემოწირულობის შეტანის საშუალება ექნებათ ეკონომიკურად დაინტერესებულ სუბიექტებს და მათ, ვინც მემკვიდრეობიდან იღებს სარგებელს
- განავითარეთ ახალი მიზნობრივი შემოსავალი როგორც „ძეგლი“

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში:

- საცავი დაწესებულებების ციფრულ სისტემაზე გადაყვანა – HEREIN (სლოვაკეთის რესპუბლიკა)
www.slovakiana.sk
www.opis.culture.gov.sk/uvod



K



VI.III „ცოდნის და განათლების კომპონენტი“ (K)

ცოდნის და განათლების კომპონენტი ყურადღებას ამახვილებს ურთიერთკავშირზე მემკვიდრეობასა და, საერთო ცოდნას შორის და მოიცავს ცნობიერების ამაღლებას, სწავლებასა და კვლევას.

გამოწვევები

- K1. საერთო ცოდნის საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- K2. მემკვიდრეობით მიღებული ცოდნისა და ოსტატობის გამოვლენა, შენარჩუნება და გადაცემა
- K3. მემკვიდრეობით გადმოცემული ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- K4. მემკვიდრეობით დაინტერესებული მხარეებისთვის უწყვეტ სწავლებაზე წვდომის უზრუნველყოფა
- K5. მემკვიდრეობით მიღებული ყველა სახის ოსტატობისა და ხელობის მაღალი ტექნიკური დონის გარანტირება
- K6. მთავრობათაშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერა, განმტკიცება და განვითარება
- K7. მემკვიდრეობის კვლევის ხელშეწყობა
- K8. ახალგაზრდებში მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობის განმტკიცება



რეკომენდაციები



რეკომენდაცია K1

სასკოლო პროგრამებში უფრო ეფექტურად შეიტანეთ განათლება მემკვიდრეობის შესახებ

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს, ტრადიციული შემოქმედებითი და კულტურული განათლების სილაბუსის ფარგლებში, ადრეული ასაკიდანვე შეეძინოთ ცოდნა მემკვიდრეობის შესახებ. ეს უნდა ემყარებოდეს მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტების მიმართ დისციპლინათაშორის და სექტორთაშორის მიდგომას. მემკვიდრეობის სწავლება უნდა ისწრაფოდეს, რომ ახალგაზრდებს განუვითაროს

შესაბამისი უნარები (დადგენის, ანალიზისა და ა. შ.) და წარმოდგენა შეუქმნას ხელოვნებათმცოდნეობის საფუძვლებზე. იგი, ასევე, ხელს უწყობს პროფესიებისა და ხელობების, მათი პრაქტიკისა და ისტორიის გაგებას. ამგვარად, მემკვიდრეობის სწავლება გვეხმარება, უკეთ შევისწავლოთ ჩვენი საცხოვრებელი გარემო, და, კიდევ უფრო ფართო გაგებით, სამყარო. იგი გვეხმარება საკუთარი თავისა და სხვების უკეთესად გაგებაში; იწვევს ურთიერთპატივისცემას და ჩვენი საცხოვრებელი გარემოს პატივისცემას და გვეხმარება პასუხისმგებელი მოქალაქეების აღზრდაში. მისი შეტანა შეიძლება როგორც ოფიციალურ სასკოლო პროგრამაში, ასევე კლასგარეშე აქტივობის სახითაც. ამ სახის განათლებაში ჩართვა შეუძლიათ არა მხოლოდ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, არამედ მშობლებსაც, ორგანიზაციებსაც და თავად მემკვიდრეობის სექტორსაც.

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3				
ურთიერთკავშირი	S4						

სამოქმედო გეგმები

- დაამუშავეთ სასკოლო პროგრამები
- მოამზადეთ მასწავლებლები, ინსტრუქტორები და სხვ.
- დაიწყეთ დიალოგი განათლების სექტორსა და იმ დეპარტამენტებს შორის, რომლების პასუხისმგებელი არიან მემკვიდრეობაზე, მუზეუმებზე, არქივებზე, ბიბლიოთეკებსა და მისთანებზე
- წამოიწყეთ დისციპლინათაშორისი საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც მოიცავს მემკვიდრეობას
- ხელი შეუწყვეთ ასოციაციებთან, ისტორიულ საზოგადოებებთან და მისთანებთან თანამშრომლობას
- განავითარეთ გარეშე აქტივობები: ვიზიტები, მგზავრობები, ინტერვიუები, დოკუმენტური ფილმები
- სკოლებში მოიწვიეთ მემკვიდრეობის სპეციალისტები
- უფრო ღია, ხელმისაწვდომი და მომხმარებლისთვის მარტივი გახადეთ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ციფრული ინფორმაცია
- მხარი დაუჭირეთ მუზეუმის სპეციალისტების მიერ ორგანიზებულ და მუზეუმებში მიმდინარე პროგრამებს

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში

- სასწავლო მასალების მომზადება მასწავლებლებისთვის, „ისტორიისა და სოციალური კვლევების მასწავლებელთა საზოგადოებასთან“ და განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით (ესტონეთი)



რეკომენდაცია K2

გაატარეთ ზომები ახალგაზრდობის წახალისებლად, რათა მემკვიდრეობა პრაქტიკაში გამოიყენონ

ახალგაზრდობაში მემკვიდრეობისადმი ვალდებულების გრძნობის გასაძლიერებლად აუცილებელია მათთან კონტაქტი, მათი მამოძრავებელი და შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი და საქმეში სხვადასხვა მიდგომების ამოქმედება: განათლების, ქსელების, ღონისძიებებში მონაწილეობისა და მისთანებისა. გარდა ამისა, შესაბამისმა ზომებმა შეიძლება ახალგაზრდები წახალისოს, იმ ახალი მეთოდების დაწყებასა და განვითარებაზე, რომლებიც მემკვიდრეობასაც მოიცავს.

აქტუალური გამოწვევები	K2	K3	K8				
ურთიერთკავშირი							

სამოქმედო გეგმები

- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის დანერგეთ კულტურის ან მემკვიდრეობის ობიექტების მონახულების მოკლევადიანი საგზურები და შეაფასეთ ამ სქემის წარმატება
- ხელი შეუწყვეთ ახალგაზრდობისთვის მიზნობრივი ღონისძიებების ორგანიზებას
- შესთავაზეთ უფასო ან ფასდაკლებით შესვლა
- ახალგაზრდობთან კონსულტაციით შექმენით სტიმულები.
- მხარი დაუჭირეთ და წახალისეთ ახალგაზრდული პრაქტიკა (მედია, კონკურსები)
- მოაწყვეთ „ღონისძიებები სიურპრიზებით“ მემკვიდრეობის თემატიკაზე

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუშები

- კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელთა კონკურსი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ფინეთში ევროპული მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში
www.kulttuuriperintokasvatus.fi/wp-content/uploads/2015/04/Cultural-Heritage-Makers2015_Instructions.pdf



რეკომენდაცია K3

წახალისეთ შემოქმედება მემკვიდრეობის აუდიტორიის დაინტერესების მიზნით

მოსახლეობის მოლოდინი საზოგადოებაში და ტექნოლოგიურ პროგრესში მიმდინარე ცვლილებებისა შესაბამისად ვითარდება. მემკვიდრეობის მიზანია, მიიპყროს ფართო აუდიტორიის ყურადღება და დაინტერესოს იგი შემოქმედებითი მიდგომით, მემკვიდრეობის გაგების საშუალებები შესთავაზოს და მასში გამოცდილების გახანგრძლივებისა და განახლების სურვილი გააჩინოს. ამ, ობიექტურად რთული და მომთხოვნი მიზნის მიღწევა გულისხმობს დიალოგს მემკვიდრეობის სამყაროს, მის მიმართ პატივისცემის გარანტორსა და თანამედროვე შემოქმედების სამყაროს შორის (კინო, მუსიკა, ლიტერატურა, ახალი ტექნოლოგიები, დიზაინი, კომპიუტერული თამაშები და ა. შ.). გარდა ამისა, თავად მემკვიდრეობა წარმოადგენს მეცნიერული და ტექნიკური ინოვაციების წყაროს, რაც ხაზგასმით უნდა იცოდეს ფართო საზოგადოებამ.

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3	K4			
<i>ურთიერთკავშირი</i>							

სამოქმედო გეგმები

- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ურთიერთკავშირს მემკვიდრეობასა და უახლეს ტექნოლოგიებს შორის არქეოლოგიის, კონსერვაციის და რესტავრაციის სფეროებში
- წარმოაჩინეთ მემკვიდრეობა კულტურულ და ტურისტულ ღონისძიებებზე
- შეიმუშავეთ ინტერაქტიული ინსტრუმენტები ცნობიერების ამაღლების ან ცოდნის წახალისების მიზნით
- ხელი შეუწყვეთ მემკვიდრეობასა და მის ღირებულებებზე ორიენტირებული თამაშების შექმნას

- მოაწყვეთ დისციპლინათაშორისი ღონისძიებები (ცოცხალი გართობა, ქუჩის მხატვრობა, სახვითი ხელოვნება და ა. შ.) ობიექტის მემკვიდრეობითი ღირებულების საფუძველზე და მისი გამოხატვის მიზნით

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში

- კუნძულების ანატომია, კუნძული ვისი (ხორვატია)
www.anatomija-otoka.com/



რეკომენდაცია K4

უზრუნველყავით სხვა, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სფეროების არაპროფესიონალი და პროფესიონალი მოთამაშეების ოპტიმალური სწავლება

კულტურული მემკვიდრეობის სექტორში ბევრი ისეთი ადამიანია ჩართული (ზოგჯერ არაპირდაპირ), რომელიც არ არის მემკვიდრეობის სრულფასოვანი სპეციალისტი: მეპატრონეები, სეზონურად მომუშავეები, სტაჟიორები, მოხალისე დამხმარეები და სხვა სექტორების პროფესიონალები (დაბინავების, ტურიზმის, აგროტურიზმის, კომუნიკაციების, საბანკო საქმიანობის, დაზღვევისა და კულტურის სხვა სფეროები; ასევე საავარიო სამსახურები სტიქიური უბედურებების დროს და ა. შ.). მნიშვნელოვანია მემკვიდრეობის შესახებ ამ ადამიანების ცნობიერების ამაღლება და მათთვის საბაზისო საკითხების სწავლება კონტექსტში ჩასმის ან ინსტრუქტაჟის უზრუნველყოფით. ამგვარი საქმიანობა შესაძლოა იყოს პროფესიონალების როლის ნაწილი.

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3	K4	K5		
ურთიერთკავშირი							

სამოქმედო გეგმები

- მოაწყვეთ სასწავლო კურსები, რაც სტიმული იქნება ადგილობრივი გიდებისთვის, სეზონურად დასაქმებულებისთვის, სტაჟიორებისთვის, მომსახურების მიმწოდებლებისთვის
- შეიმუშავეთ ადგილობრივი მემკვიდრეობის გამოვლენისა და შეფასების საფუძვლების გასაცნობი კურსები
- ჩაატარეთ გაცნობითი ხასიათის მეცადინეოები მემკვიდრეობის მეპატრონეებისთვის
- მოიწვიეთ პროფესიონალები ცოდნისა და უნარების გადასაცემად

- ხელი შეუწყვეთ პროფესიონალებთან ერთად მემკვიდრეობის აღმოჩენას
- მხარი დაუჭირეთ პროფესიონალების მიერ არაპროფესიონალების დამრიგებლობას
- შეიტანეთ მემკვიდრეობა და მისი თავისებურებები გადაუდებელი დახმარების გეგმებში

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული

ღონისძიების ნიმუში

- „ევროპული ტურის“ ინიციატივა, რომელიც მიმართულია კულტურული ტურიზმის განვითარების კუთხით სასოფლო-სამეურნეო რაიონების შესაძლებლობების გაფართოებისკენ (რომლის მიზანია დაინტერესებული პირების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება სოფლის კულტურული ტურიზმის ასპექტებში)

www.europetour.tips



რეკომენდაცია K5

მრავალფეროვანი გახადეთ მემკვიდრეობის სპეციალისტების სწავლების სისტემები

ოსტატობისა და ხელობის სხვადასხვა სახეები ვითარდება და პროფესიული გზები ნაკლებად სწორხაზოვანი და უფრო რთული ხდება და ამიტომ საჭიროებს უწყვეტ სწავლებას, ახალ სიტუაციებზე მორგებას ან გადამზადებას. მემკვიდრეობის სექტორს, რომელიც უკიდურესად მრავალფეროვანია, ესაჭიროება კარგად განსწავლული, მიუკერძოებელი და ცვლილებების უნარის მქონე უნივერსალები. აუცილებელია სპეციალისტები მოწინავე დარგებში სრულყოფილების უზრუნველსაყოფადაც. მემკვიდრეობის სფეროში, ისევე, როგორც სხვა სექტორებში, არსებობს ორმაგი სწავლების, ცოდნისა და უნარების განახლების გამოკვეთილი ტენდენცია. ეს კონტექსტი საჭიროს ხდის ტრენინგის სისტემებისა (სასწავლო ცენტრები პროფესიონალებისთვის, სპეციალური პროფესიული სწავლება ახალგაზრდებისთვის, მონაცვლეობითი სწავლება და მობილობა, სკოლები და უნივერსიტეტები, სახლში სწავლება და ა. შ.) და კავშირების მრავალფეროვნებას.

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3	K4	K5		
<i>ურთიერთკავშირი</i>							

სამოქმედო გეგმები

- ეროვნულ და ევროპულ დონეებზე მიაწოდეთ ინფორმაცია არსებული სისტემების და სტიმულების შესახებ
- შეაფასეთ: ჩაატარეთ ანალიზი და შესთავაზეთ პროფესიონალთა სწავლების გაუმჯობესების გზები
- უზრუნველყავით სათანადო ზომების მდგრადობა
- მხარი დაუჭირეთ პერსონალური სასწავლო ანგარიშების ფართო გამოყენებას
- განამტკიცეთ თანამშრომლობა უნივერსიტეტებს, სკოლებსა და სასწავლო ცენტრებს შორის
- უზრუნველყავით კოორდინაცია სწავლების სისტემებსა და პროფესიულ სტრუქტურებს შორის
- ექსპერტთა მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთეთ სამუშაო ადგილებზე საკუთარი სახსრებით სწავლებას (თემატური, ტექნიკური და კონკრეტული საკითხებზე, არსებული ვითარება, დისციპლინებს შორის ან სექტორებს შორის დიალოგი და ა. შ.)
- შემოიღეთ გრანტები პროფესიონალებისთვის
- გამოიყენეთ „Erasmus +“ პროგრამის შესაძლებლობები
- მხარი დაუჭირეთ მოწინავე გამოცდილების გაცვლას და როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო მობილობას: შეგირდები, ახალგაზრდა პროფესიონალები, უწყვეტი სწავლება
- მხარი დაუჭირეთ დამრიგებლობას ევროპაში

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუშები

- „ერაზმუსი შეგირდებისთვის“, გამოცდილი იქნა 11 ფრანგული და გერმანული კომპანიის მიერ, 2016
www.agence-erasmus.fr/projet/39/1-erasmus-des-apprentis-le-projet-euroapprentissage
- კრაკოვის მემკვიდრეობის აკადემია
<http://mck.krakow.pl/a-post-graduate-studies>



რეკომენდაცია K6

შექმენით ადგილობრივი და ტრადიციული მასალების, ტექნოლოგიებისა და ნოუ ჰაუს ცოდნის ბანკები

გაუჩინარების საფრთხე, რომელიც მემკვიდრეობით გადმოცემულ მრავალ ხელობასა და საქმიანობას ემუქრება, ნიშნავს, რომ არსებობს მასალების, ტექნოლოგიებისა და ნოუ ჰაუს საცავებისა და ცოდნის ბანკებისთვის სპეციალურად მოწყობილი ადგილების შექმნის ან შემდგომი განვითარების გადაუდებელი საჭიროება, რათა ისინი არ გამოეთიშონ თავად საქმიანობის ცოდნას, მოდელებსა და პროცესებს. არსებული მონაცემთა ბაზების გარდა, მათი დამატებითი მიზანი იქნება ნიმუშების შენახვა, ასევე მონაცემების და ინფორმაციის განახლება და ფართოდ გავრცელება.

როგორც იდეების მასტიმულირებელი საშუალება, ამგვარი საერთო მეხსიერება წარმოჩენილი და პოპულარიზებული უნდა იქნას, როგორც შთაგონების წყარო. მისი კიდევ ერთი დანიშნულებას ეფექტური პროფესიონალური პრაქტიკის განმტკიცება წარმოადგენს.

აქტუალური გამოწვევები	K2	K3	K4				
ურთიერთკავშირი	S4	D2	D7				

სამოქმედო გეგმები

- შექმენით ტრადიციული და მემკვიდრეობის მართვის შედეგად მიღებული ცოდნის და ნოუ ჰაუს კონსერვაციისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილები,
- გამოიყენეთ ახალი ტექნოლოგიები ნოუ ჰაუს დოკუმენტირებისა და შენარჩუნების მიზნით
- შექმენით ოსტატობისა და ნოუ ჰაუს ევროპული ცენტრი
- შექმენით და გააფართოვეთ „მასალათა ბიბლიოთეკები“

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი, ეთნოლოგიისა და ფოლკლორის კვლევის ინსტიტუტი (ხორვატია)
http://ief.academia.edu/Departments/Institute_of_Ethnology_and_Folklore_Research_Zagreb_Croatia



რეკომენდაცია K7

დარწმუნდით, რომ ახალ თაობას გადაეცემა ის ცოდნა და უნარები, რომლებიც წარმოადგენს მემკვიდრეობად აღიარებული ხელობის ნაწილს

მემკვიდრეობად აღიარებული ხელობის შემადგენელი ცოდნისა და უნარების გადაცემას არსებითი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფისთვის. მაგრამ იგი არამყარია და შეიძლება ერთ თაობაში დაიკარგოს, პენსიაზე გასვლის ან საწარმოების დახურვის გამო. იგი თავისთავად არის კეთილდღეობის წყარო და ევროპული კულტურის შემადგენელი მემკვიდრეობა, და შეიძლება მიმზიდველი იყოს ახალგაზრდებისთვის, ან სხვა პროფესიის მაძიებელი ადამიანებისთვის. ამგვარი გადაცემის უზრუნველყოფა და გარანტირება, ასევე, ხელს შეუწყობს მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნას და საქმიანობებს, რომლებსაც ექნება მაღალი მემკვიდრეობითი ღირებულება და რომლებსაც ხშირად აქვთ განახლების პოტენციალი.

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3	K4	K8		
ურთიერთკავშირი	S4						

სამოქმედო გეგმები

- ხელი შეუწყვეთ ოსტატ ხელოსნებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ხელობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გადაცემა
- მიიღეთ ზომები, ახალგაზრდებისთვის თემატური სემინარების ჩასატარებლად
- დაეხმარეთ ფირმებს ახალგაზრდების დასაქმებაში
- მოაწყვეთ გამოფენები და ჩვენებები
- წაახალისეთ კონკურსების მეშვეობით სტიმულირება
- გამოფინეთ ხელნაკეთი ნივთები (სკოლებში, მედიაში და ა. შ.)
- განავითარეთ ხელით მუშაობის სწავლება და პრაქტიკა (ესკიზები, აზომვები, და სხვ.) კომპიუტერულ პროექტირებასთან ერთად
- მხარი დაუჭირეთ მემკვიდრეობითი ხელობების სასწავლო ცენტრების შექმნასა და გაფართოებას
- მხარი დაუჭირეთ „მემკვიდრეობითი უნარების ევროპულ ფონდს“ (FEMP)

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში

- Fornverkaskólinn www.glaumbaer.is/fornverkaskolinn



რეკომენდაცია K8

გარანტირებული უნდა იყოს აღნუსხულ მემკვიდრეობაზე მომუშავე სპეციალისტების კომპეტენტურობა

მემკვიდრეობა, კერძოდ კი აღნუსხული აქტივები, საჭიროებს კვალიფიციური სპეციალისტების ჩარევას. მრავალი ხელობის გაუჩინარებისა და ბევრი კომპანიის დახურვის გათვალისწინებით, სასწრაფო ზომებია მისაღები სტანდარტების განსაზღვრის, ნებისმიერი ჩარევის დროს კომპეტენციის გარკვეული დონის გარანტირებისა და კვალიფიცირების და სერტიფიცირების შემუშავებით ხარისხის გაზრდის მიზნით. დღეისათვის მნიშვნელოვანია კოორდინაციისა და ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა ევროპულ დონეზე

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3	K4	K5		
ურთიერთკავშირი							

სამოქმედო გეგმები

- მიიღეთ ზომები აღნუსხულ აქტივებზე მომუშავე სპეციალისტების კომპეტენტურობის გადასამოწმებლად
- წახალისეთ მუშაობაში არჩეული წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ჩართვა
- მოიზიდეთ კერძო სექტორი და დაეხმარეთ პროექტის ინიციატორებსა და კომპანიებში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას
- უზრუნველყავით კონსულტაცია კომპეტენტურ დეპარტამენტებს შორის: დასაქმება, სწავლება მეწარმეობა, კულტურა
- (ადგილობრივი ხელისუფლებებისგან) მიიღეთ მაღალკვალიფიციური კომპანიების მხარდამჭერი ზომები

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში

- სამშენებლო ხელობები და მცირე ბიზნესის ფედერაცია, CAPEB (საფრანგეთი)

www.caheb.fr/



რეკომენდაცია K9

შეიმუშავეთ სასწავლო და კვლევითი პროგრამები, რომლებიც ასახავს მემკვიდრეობის სექტორის საჭიროებებს და გააზიარეთ მათი შედეგები

მემკვიდრეობა მუდმივად ვითარდება. მისი საქმიანობისა და ცოდნის სფერო მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულებში. მემკვიდრეობის შესახებ დაგროვებული უდიდესი ცოდნა წარმოადგენს რამდენიმე ტიპის საქმიანობის შედეგს: მემკვიდრეობის სპეციალისტების მიერ ჩატარებული დოკუმენტური, სამეცნიერო, ტექნიკური და სხვ. კვლევები; საუნივერსიტეტო კვლევები სხვადასხვა დისციპლინებში (საბუნებისმეტყველო და ფიზიკური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები და ა. შ.), რომლებიც გამოიყენება პროგრამის გარკვეულ სფეროში ან ნაწილში, ასევე ის ღონისძიებები, რომლებსაც არაპროფესიონალები ატარებენ. პრობლემები იცვლება მემკვიდრეობის პრობლემებიდან გამომდინარე. საერთო კეთილდღეობისთვის მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინოს ისეთ სამუშაოს, რომელიც ასახავს კონკრეტული სექტორის რეალობას და მოთხოვნილებებს, მაგრამ, ამავდროულად, უზრუნველყოფს აკადემიური კვლევის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მომავალი თაობებისთვის მდგრადი გადაცემის რთული კომპლექსური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მულტიდისციპლინარული კვლევების ჩატარება ეროვნულ და ევროპულ დონეებზე. შედეგები უნდა გავრცელდეს, გაზიარდეს და განიხილებოდეს, და ეს, შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს იმ პროცესის ნაწილი, რომელიც მდგრადობას უზრუნველყოფს.

აქტუალური გამოწვევები	K2	K3	K4	K5			
<i>ურთიერთკავშირი</i>							

სამოქმედო გეგმები

- განსაზღვრეთ აქტუალური მიმართულებები ამგვარი კვლევითი ნაშრომებისა და თემებისთვის (ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ მიდგომებით)
- წახალისეთ მემკვიდრეობისადმი დისციპლინათაშორისი და საერთაშორისო მიდგომა
- შეისწავლეთ, თუ რა გზებით შეიძლება მემკვიდრეობამ სხვა სექტორების საჭიროებები დააკმაყოფილოს
- კვლევის შედეგები მიაწოდეთ სპეციალისტებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მომხმარებლებს

- შეაფასეთ და უზრუნველყავით შესწავლისა და კვლევის მდგრადობა
- რამდენიმე რეგიონში დანერგეთ თემატური სწავლების პროგრამები
- განავითარეთ საინფორმაციო-პოპულარული პროგრამები (ლექციები, კურსები, რადიო და ტელეგადაცემები, პუბლიკაციები მკითხველთა კონკრეტული წრისთვის, და ა. შ.)
- გახსენით საზოგადოებრივი კვლევითი ცენტრები
- მოაწყვეთ საჯარო შეხვედრები პროფესიონალებს, მკვლევრებსა და მომხმარებლებს შორის (მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემები და დებატები)
- გამოყავით დისციპლინების დამაკავშირებელი თემები (მეცნიერება და მემკვიდრეობა, ინოვაციები და მემკვიდრეობა)
- მხარი დაუჭირეთ ევროპულ და საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობას ქსელური კონტაქტების მეშვეობით.

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუშები

- „ჰერიტოს“ („Herito“) კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა (ICC, კრაკოვი, პოლონეთი)
<http://mck.krakow.pl/en>
- ტალინის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის საკურთხეველის მოხატულობის ინტერაქტიული კვლევის და კონსერვაციის პროექტი - HEREIN (ესტონეთი)
<http://nigulistemuuseum.ekm.ee/en/on-view/on-view/rode-altarpiece-in-close-up/>
- ევროპული პროექტი „კლიმატი კულტურისთვის“, ევროპულ მემკვიდრეობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასების მიზნით
www.climateforculture.eu



რეკომენდაცია K10

წახალისეთ და მხარი დაუჭირეთ ქსელების განვითარებას

მემკვიდრეობის სექტორში რამდენიმე ასეული სხვადასხვა ტიპი ქსელი მოქმედებს რეგიონულ, ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე. ისინი აერთიანებს დაინტერესებულ პირებს შესაბამისი სექტორებიდან, ხელობებიდან და პროფესიებიდან, რომლებსაც საერთო ინტერესები აქვთ ან მუშაობენ ცალკეულ პროექტებზე, ან თემებზე. ქსელები, პირველ რიგში, მოქმედების საშუალებას წარმოადგენს, სადაც მონაწილეებს შორის არის არაფორმალური, მაგრამ ყოველთვის კონსტრუქციული ურთიერთქმედება. უფრო ხშირად, ქსელები თავის წევრებს აწვდიან საინფორმაციო პლატფორმას და

განიხილავენ საერთო ინტერესის მქონე საკითხებს. ზოგიერთებმა ფედერაცია ჩამოაყალიბეს, ზოგნი საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრების ნაწილი არიან, მაგრამ ძირითადი ქსელები მაინც უნდა იყოს აღიარებული პარტნიორებად და უზრუნველყოფილი უნდას იყოს ის, რომ მემკვიდრეობის სექტორის ხმა გაგონილი იქნას. ქსელების ჩამოყალიბება თავისთავად დინამიკურია: ერთი ქრება, მეორე იქმნება ან ჩნდება მისი შექმნის საჭიროება.

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3	K4	K5		
ურთიერთკავშირი							

სამოქმედო გეგმები

- დაეხმარეთ ქსელების გამართვას
- მოიძიეთ არსებული ქსელები და ხელი შეუწყვეთ მათ განვითარებას
- დაამყარეთ ურთიერთობები სხვა სექტორებში არსებულ ქსელებთან, რომლებთანაც საერთო ინტერესები გაქვთ
- დაამყარეთ დიალოგი ქსელებს შორის და განიხილეთ შეთანხმებული საერთო სამოქმედო გეგმები

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, ევროპული

ღონისძიების ნიმუში

- კულტურული შეხვედრების ცენტრთა ასოციაცია („The Association of Cultural Encounter Centres“) (ACCR)
www.accr-europe.org/?lang=en



რეკომენდაცია K11

გამოიკვლიეთ მემკვიდრეობა, როგორც ცოდნის, შთაგონებისა და შემოქმედების წყარო

დღესდღეობით, მემკვიდრეობა აღარ არის მხოლოდ ნოსტალგიური გრძნობის შექმნის ან შენარჩუნების საშუალება. ამგვარი მემკვიდრეობა წარმოადგენს ცოდნის, ნოუ ჰაუს, დამოკიდებულებებისა და მიღწევების უშრეტ წყაროს, რომელიც, მთელი მისი მრავალფეროვნებით, გამოხატავს ადამიანის შემოქმედებით ძალას. როგორც ასეთი, იგი ერთდროულად არის საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ინოვაციების შედეგიც და ცოდნისა და შთაგონების წყაროც.

აქტუალური გამოწვევები	K1	K2	K3	K4	K5		
<i>ურთიერთკავშირი</i>							

სამოქმედო გეგმები

- შემოქმედებითად გამოიყენეთ მემკვიდრეობის ობიექტები მათი მნიშვნელობის წარმოსაჩენად
- ერთმანეთს შეადარეთ მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის ობიექტები
- ჩაატარეთ მემკვიდრეობის შემსწავლელი სემინარები, რომლებიც ხელსაწყოებსა და ოსტატებს მიეძღვნება

სამიზნე აუდიტორია: ადგილობრივი, რეგიონული

ღონისძიების ნიმუში

- ტრადიციული მასალების ახლებური გამოყენებები (იზოლაცია კორპის და ქერელის გამოყენებით)

www.culturecommunication.gouv.fr/content/download/85188/640921/version/4/file/Fiche+conseil+-+Restaurer+un+batiment+traditionnel.pdf

ურთიერთკავშირი: გადაკვეთის არეები

ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი ღონისძიება ესადაგება ორ, ან სამ კომპონენტსაც კი. ურთიერთკავშირის ასეთი წერტილები გადაკვეთის რეალურ არეებს წარმოადგენს, რაც გარდაუვალია და სტრატეგიის თანამიმდევრულობაზე მინიშნებად უნდა იქნას აღქმული. მაგალითად, ზოგიერთი შემოთავაზებული ღონისძიება ექცეოდა „სოციალურ“ და „ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების“ კომპონენტებში, ან „სოციალურ“ და „ცოდნის და განათლების“ კომპონენტებში, ან „ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების“ და „ცოდნის და განათლების“ კომპონენტებში. ზოგიერთი ღონისძიება, შესაძლოა, სამივე კომპონენტისთვის საერთო იყოს. ქვემოთ მოცემული დიაგრამაში გთავაზობთ მსგავსი სიტუაციების ილუსტრაციას.

შეფასების პროცედურა

სტრატეგიის შეფასება უნდა განხორციელდეს ორივე – ეროვნულ და ევროპულ დონეზე, რბილი მონიტორინგის პრინციპების შესაბამისად. მემკვიდრეობისადმი კომპლექსური მიდგომის შეფასების პროცედურა მოცემულია A დანართი.

ევროპის საბჭოს დონეზე, HEREIN სისტემა წარმოადგენს სტრატეგიის მონიტორინგის საცნობარო ინსტრუმენტს და მოწინავე გამოცდილების გაცვლის არხს. მხარდამჭერ ჯგუფს ევალება, რომ დაეხმაროს სამდივნოს ეროვნული მოხსენებების ფორმატის ადაპტირებაში ამ მიზნის მისაღწევად. ნაციონალურ კოორდინატორებს მიეწოდებათ ინფორმაცია სტრატეგიის შესახებ. საგანგებო პლატფორმა, რომლის შემადგენლობასა და ფარგლებს განსაზღვრავს კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის მმართველი კომიტეტი (CDCPP), რომელიც შეაფასებს სტრატეგიას HEREIN სისტემის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე და წლიურ ანგარიშს წარუდგენს CDCP-ს, 2018 წლიდან შედის ძალაში. ამ ანგარიშში, მიღწეული პროგრესის ჩვენების გარდა, მითითებული იქნება ის რეკომენდაციები, რომლებზეც უნდა მოხდეს ძალისხმევების კონცენტრაცია და წარმოდგენილი იქნება ნებისმიერი შემოთავაზებული განახლება. 2020 წელს დაგეგმილია პირველი ზოგადი შეფასება იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სტრატეგიაში საჭირო კორექტივების შეტანა.

ეროვნულ დონეზე, ზემოთხსენებული დიაგრამა და A დანართში შემოთავაზებული შეფასების სისტემა საშუალებას მისცემს თითოეულ სახელმწიფოს, გაანალიზოს მემკვიდრეობის საკუთარი პოლიტიკა სამკომპონენტო მიდგომისა და მათი ურთიერთკავშირების გამოყენებით, და განსაზღვრონ მოქმედების პრიორიტეტული სფეროები. HEREIN სისტემის სახალხო-საზოგადოებრივი დაფინანსების ფუნქციას სახელმწიფოები გამოიყენებენ იმისთვის, რომ დაეყრდნონ სხვა ქვეყნებში გატარებულ ზომებს. თითოეულ სახელმწიფოზე იქნება დამოკიდებული მონიტორინგისა და შეფასების ყველაზე შესაფერისი სისტემის განსაზღვრა, რისთვისაც შეიძლება გამოიყენონ HEREIN სისტემის ეროვნულ ანგარიშებში ასახული სხვა ქვეყნების საქმიანობა.

დანართი A

შეფასების პროცედურა და მემკვიდრეობისადმი კომპლექსური მიდგომის ინდიკატორების გამოყენება

ბოიან რადეი, სლვენის შეფასების საზოგადოება, ლიუბლიანა

იელკა პირკოვიჩი, ლიუბლიანა

მოცემული სტრატეგია განიხილავს მემკვიდრეობის მართვის კონცეფციას სამი კომპონენტის მიხედვით: „სოციალური“ კომპონენტი (S), „ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების კომპონენტი“ (D) და „ცოდნის და განათლების კომპონენტი“ (K), და შეიცავს შეფასების მორგებულ სიტემას. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაყოფა, შესაძლოა, ოდნავ თვითნებური იყოს, ეს სამი კომპონენტი შეიძლება აღვიქვათ, როგორც მემკვიდრეობის მართვის სამი საკვანძო და დამოუკიდებელი ასპექტი, რადგან მოიცავს მემკვიდრეობის სამ, საკმაოდ განსხვავებულ ასპექტს. მათ წარმართავს უნიკალური ძირითადი პრინციპი და, შესაბამისად, მეტწილად დამოუკიდებელი, ფუნდამენტური მიზნები ამოძრავებს. ისინი ასევე მუშაობენ ავტონომიური ჩარევის ლოგიკით (როგორ უნდა მივაღწიოთ მიზნებს) და, აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის მართვის დამოუკიდებელი მიდგომების საფუძველზე.

„სოციალური“ კომპონენტი ეხება მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანას ისეთ ევროპულ ღირებულებებთან, როგორცაა იდენტობის მრავალგვარობისა და კულტურული მრავალფეროვნების აღიარება. მემკვიდრეობის სოციალური პრიორიტეტის ამოქმედება ხდება მრავალფეროვნების ხელშეწყობით, მემკვიდრეობის მფლობელი ჯგუფების/თემების გაძლიერებით და წარმომადგენლობითი მმართველობის ხელშეწყობით.

„ტერიტორიული და ეკონომიკური განვითარების“ კომპონენტი ეხება მემკვიდრეობაზე ორიენტირებული მდგრადი ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარების გაუმჯობესებას. ამ თვალსაზრისით ძირითადი მამოძრავებლებია შიდა პოტენციალზე დამყარებული ადგილობრივი ეკონომიკები, ტურიზმი და დასაქმება, რომლებიც მოიცავს მემკვიდრეობის სფეროში არსებული ინტერესებს.

„ცოდნის და განათლების“ კომპონენტი ფარავს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია მემკვიდრეობასთან და მემკვიდრეობის მეშვეობით განათლებასთან, კვლევასთან და უწყვეტ სწავლებასთან. მემკვიდრეობის ცოდნის ცენტრების შექმნა და ახალი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების შემუშავება წარმოადგენს მემკვიდრეობის მართვის მესამე კომპონენტის მთავარ მამოძრავებელ ძალას.

თუ მემკვიდრეობა იმართება ცალკე (ან ვერტიკალურად), ამ სამი კომპონენტის ფარგლებში რაიმე სახის გადაკვეთის გარეშე, შედეგებიც განცალკევებული და არაინტეგრირებული იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობის მართვის ვერტიკალური ინტერესები გამართლებული და დასაბუთებულია, ისინი ვერ გვთავაზობს მემკვიდრეობის განვითარების ჰორიზონტალური ასპექტების რაიმე ახსნას. მაგალითად, განათლებას ძლიერად ზემოქმედებს განვითარებისა და სოციალური

ტენდენციების შესაძლებლობებზე, და პირიქით. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის მართვის ეს სამი კომპონენტი იმგვარად უნდა იქნას გააზრებული, რომ გათვალისწინებული იყოს მათი გადაკვეთის არეები. სწორედ ესაა წინაპირობა იმისთვის, რომ თანმიმდევრული, მდგრადი და ტერიტორიულად თუ სოციალურად ერთიანი შედეგები მივიღოთ. შესაბამისად, ამ სახით ჩამოყალიბებული კომპონენტები, მათ ურთიერთკავშირებთან ერთად, გამოკვეთილად წარმოაჩენს მემკვიდრეობის სექტორთა შორის მართვის საჭიროებებსა და შედეგებს.

არსებობს ურთიერთკავშირის ოთხი ძირითადი არე, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მემკვიდრეობის მართვის გააზრების პროცესში: კავშირი S-სა და D-ს, D-ს და K-ს, K-ს და S-ს, და S-ს, D-ს და K-ს შორის.

ჰორიზონტალური ურთიერთკავშირი S-სა და D-ს შორის მოიცავს მემკვიდრეობის პრობლემების მართვის საკითხებისადმი ახალ მიდგომებს იმ წერტილებში, სადაც მეტი დემოკრატიის, ჩართულობის, მემკვიდრეობისადმი მიდგომის შესაძლებლობების გაფართოების უზრუნველყოფა გადაიკვეთება ეკონომიკურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გაფართოებასთან. ეს ორი კომპონენტი ნაწილობრივ თანხვედრა მდგრად ტერიტორიულ განვითარებაში და მემკვიდრეობისთვის შესაბამის ინოვაციურ ეკონომიკურ და ფინანსურ მოდელებში, რომლებიც უნდა ემყარებოდეს ადგილობრივი პოტენციალის ამოქმედებას ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ჰორიზონტალური ურთიერთკავშირი D-ს და K-ს შორის ითვალისწინებს მემკვიდრეობად შერაცხული ცოდნის, მეთოდებისა და უნარების შენარჩუნებასა და გადაცემას, ამ თემების შემდგომი განვითარების მიზნით. ამ ორ კომპონენტს შორის ხიდის როლს ასრულებს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის ხელსაწყოები, რომლებიც მომხმარებლებს მემკვიდრეობასთან, ახალი უნარებთან და მემკვიდრეობის ახალ ნაწარმსა და მომსახურებებთან აკავშირებს.

ჰორიზონტალური ურთიერთკავშირი K-ს და S-ს შორის უკავშირდება პოპულარიზაციის და ცნობიერების ამაღლების პრაქტიკული საქმიანობების გაზიარებას, ასევე მემკვიდრეობის მართვასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ მოსაზრებებს. ურთიერთკავშირის ამ სეგმენტს წარმართავს განათლება და ცნობიერების ამაღლება დაინტერესებული მხარეებისთვის – მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებებისა და პასუხისმგებლობების და ახალი თაობებისთვის – მემკვიდრეობის ღირებულებების თვალსაზრისით.

და ბოლოს, S-ს, D-ს და K-ს შორის ჰორიზონტალურ ურთიერთკავშირს აქვს მემკვიდრეობის სექტორთაშორისი და მრავალფუნქციური კონცეფციების სრულად განხორციელებისა და ევროპული ღირებულებებისა და იდენტურობის გამაძლიერებელ ძალისხმევებში წვლილის შეტანის პოტენციალი.

როდესაც მემკვიდრეობის მართვა სამივე კომპონენტში შესანიშნავ შედეგებს აღწევს, ძალიან ეფექტურია სექტორული ღონისძიებების ცალ-ცალკე შეფასება. იქ, სადაც მემკვიდრეობის მართვა ძალიან ეფექტურია ერთ ან ორ კომპონენტში, მაგრამ არა სამივეში, სექტორული (ვერტიკალური) მიღწევები ცუდად არის დაბალანსებული.

ინტეგრაციის მიზანი მოითხოვს სამ კომპონენტს შორის ამ ბალანსის სექტორული ან ძირითადი ასპექტის ზედმიწევნით შეფასებას.

როდესაც მემკვიდრეობის მართვა იღებს შესანიშნავ შედეგებს სამი კომპონენტის ურთიერთკავშირის სხვადასხვა არეებში, ეს კავშირი შეიძლება ძალიან ძლიერად ჩაითვალოს. ეს ნიშნავს, რომ სექტორული პოლიტიკის მიმართულებების მეორადი შედეგები ერთმანეთთან ურთიერთკავშირში ძალიან დადებითია. თუ ორი კომპონენტი ასიმეტრიულად იკვეთება, ერთი კომპონენტის გავლენა მეორეზე ძალიან დადებითია მაშინ, როდესაც მეორე კომპონენტისა – ძალიან უარყოფითი. ეს არის გარკვეული ეკონომიკური პროექტებისა და კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთქმედების შემთხვევა, როდესაც ურთიერთკავშირი, შესაძლოა, საკმაოდ დიდი, მაგრამ მხარეებისთვის სხვადასხვაგვარი იყოს. შედეგად, სარგებელი ორმხრივი არ არის. იგი არ აფართოებს ორივე მხარის შესაძლებლობებს და მოჩვენებითი ეფექტურობის მიუხედავად, ვერ უზრუნველყოფს ნდობასა და ერთობლივი საქმიანობის სურვილს.

როდესაც ურთიერთკავშირის არეები ორმხრივად დამაკმაყოფილებელია, მემკვიდრეობის მართვას სინერგიზმის უზრუნველყოფა შეუძლია. იქ, სადაც მემკვიდრეობის პოლიტიკა აღწევს ჭეშმარიტ წონასწორობას და სინერგიის მაღალ დონეს, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მემკვიდრეობის ინტეგრირებულ მართვაზე.

ურთიერთკავშირებით მიდგომა გულისხმობს ერთიანი დაგეგმვისა და მემკვიდრეობის მართვის შეკავშირებულობის შეფასების სამ მიმართულებას.

1. უშუალოდ, რის მიღწევას ცდილობს მემკვიდრეობის პოლიტიკა? ეს არის ვერტიკალური მიმართულება: იგი განეკუთვნება წრფივი ჩარევის ტრადიციულ ლოგიკას (როგორც ეს ნაჩვენებია ჯაჭვში: პრობლემის განსაზღვრა – სტრატეგია – მიზანი – მოქმედება – გავლენა) და შედეგებზე დამყარებულ შეფასებას (ეფექტურობა, ქმედითობა, დროულობა).
2. ჰორიზონტალური მიმართულება შედგება ორი ასპექტისგან:
 - a. რა გავლენას ახდენს მემკვიდრეობის თითოეული სექტორი სხვებზე;
 - b. რა გავლენას ახდენს სხვა სექტორები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, განათლების პოლიტიკა, და ა. შ.), რომლებიც არ არის დაკავშირებული მემკვიდრეობასთან, მემკვიდრეობის სექტორსა და მის ამოცანებზე.
3. ამ მიდგომას შეიძლება ეწოდოს ნაწილობრივი გადაფარვის კონცეფცია მემკვიდრეობის მართვაში. ეს ახალი ცნება მიღებული იქნა სტრატეგიის პროექტის შედგენის დროს და შესაძლებელია გამოყენებული იქნას ეროვნული, ადგილობრივ და პროექტის დონეებზეც. იმპლემენტაციის ფაზაში, იგი ასევე კარგად გვეხმარება მემკვიდრეობის მართვის შეფასებაში, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური პოლიტიკური ჩარევების მხრივ.

მემკვიდრეობის სტრატეგიისადმი კომპლექსური მიდგომა ორ ძირითად მიზანს ემსახურება: პროგრამის შედგენას და შეფასებას.

მას აქვს ჩარევის ინოვაციური და დამაკავშირებელი ლოგიკა, რომელიც ხელს უწყობს

მემკვიდრეობის პოლიტიკის მიმართულებების შემუშავებას უფრო სინერგიული შედეგებით (პროგრამის შედეგადა) და სტრატეგიის პროექტივ ჩარევის იმავე ლოგიკით ფუნქციონირებს.

ეს არის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც, შეფასების შედეგების ეფექტურ ანალიზთან ერთად, უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მეტ შესაბამისობას გადაწყვეტილების მიღების საშუალო და სტრატეგიულ დონეებზე. ამ დროისათვის, სტრატეგიის პროექტში სრულად არ არის შესული ასეთი შეფასების სინთეზური კონცეფცია.

სინერგიული ჩარევის ლოგიკა სასარგებლოა სტრატეგიულ დონეზე. ამავე დროს, ზოგადად აქტუალურია, რადგან მისი გამოყენება სხვა დონეებზეც არის შესაძლებელი. შემოთავაზებული ინსტრუმენტი შესაფერისია საჯარო საქმეების მართვისთვის, სადაც გამოწვევები, უმთავრესად, ჰორიზონტალურ კავშირებში ჩნდება და მოგვარების გზები დამოკიდებულია სხვა სექტორებში (და არა მხოლოდ სექტორული პოლიტიკის მიმართულებებში) მიღებულ ზომებს შორის შესაბამისობაზე. სინერგიის მიღწევის შემდეგ, სუსტი საწყისი შესაძლებლობების მქონე, ნაკლებად მნიშვნელოვან სექტორებსაც კი შეუძლიათ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.

ეს ახალი მიდგომა,⁷ პოლიტიკაზე ზეგავლენის შეფასებისას სცდება შედეგებზე დამყარებული სტანდარტული ლოგიკის ფარგლებს. სტანდარტული მიდგომა ღირებულია, მაგრამ იმავე რაოდენობის ინფორმაციიდან უფრო მეტის მიღება შეიძლება მიღებული მონაცემების უფრო გონივრულად სინთეზირების გზით. ამ გზით შესაძლებელია რთული ვითარების სტრატეგიული მიმოხილვის მიღება.

სტრატეგია იწყება შემეცნებითი და სტრატეგიული საკითხებით და შემდეგ სისტემურად გადადის უფრო ოპერაციულ საკითხებზე, რითაც დიდ გასაქანს აძლევს ეროვნულ და ქვე-ეროვნულ დონეებზე გასათვალისწინებელ სპეციფიკურ საჭიროებებსა და კონტექსტს.

ზოგადად, სტრატეგიისთვის საჭიროა, რომ მას ავსებდეს მაჩვენებელთა სისტემა სხვადასხვა სფეროებში მემკვიდრეობის პოლიტიკის რეალიზაციის მონიტორინგის მიზნით. მემკვიდრეობის პოლიტიკის გავლენის შეფასების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები მაღალი ალბათობით დაიცავს მემკვიდრეობის პოლიტიკის გავლენის შეფასების სტანდარტულ წესებს. ცალკე შეიძლება მომზადდეს შეფასების (და პოლიტიკის) სტრუქტურა მემკვიდრეობის ეროვნული და რეგიონული/ადგილობრივი პროგრამებისთვის.

განხორციელების ეტაპზე კომპლექსური მიდგომა მაშინაც კი აქტუალურია, როდესაც არ არსებობს მონიტორინგისა და ინფორმაციის სრულყოფილი ფუნქციონალური სისტემა,

⁷ უფრო ვრცლად იხილეთ: რადეი, ბ. (2014), „სოციალური კომპლექსურობა: ოპერაციული განმარტება“ (“Social complexity: operational definition”), ლიუბლიანა, სლოვენის შეფასების საზოგადოება: სამუშაო ესეები, 7/2; ან რადეი, ბ., იაზბინშევი, კ.ჟ., დოლინშევი, მ. (2015), „ინოვაციის პოლიტიკის გონივრულობის გაზომვა (“Measuring Smartness of Innovation Policy”), [Asia-Pacific Tech Monitor](#), ივნისი-სექტემბერი 2015.

რადგან შესაძლებელია მისი ხარისხიანად შესრულება და ექსპერტების მიერ იმ ცალკეული მოქმედებების ხარისხიანად (დადებითად, უარყოფითად, ნეიტრალურად, შეუსაბამოდ) შეფასება, რომლებიც სტრატეგიაში განსაზღვრული თითოეული პრობლემის გადაჭრის კონკრეტული რეკომენდაციებიდან გამომდინარეობს.

შეფასების ახალი მიდგომა თავდაპირველად შეიძლება შემოწმდეს სტრატეგიის არსის საილუსტრაციოდ შეგროვებული მოწინავე გამოცდილების ზოგიერთი მაგალითის შეფასებით. ამის შემდეგ, შესაძლებელია დადებითი გამოცდილების საყოველთაოდ დანერგვა. სასურველია, გარკვეული სახის სწავლების ჩატარება; თუმცა, მეთოდოლოგია არის მარტივია, ნათლად არის წარმოდგენილი და სპეციალური სწავლების გარეშე თავისუფლად შეიძლება მისი გამოყენება „Creative Commons 2.5“ ლიცენზიით არაკომერციული გამოყენებისთვის.

სტრატეგიის სამ კომპონენტს, მის რეკომენდაციებსა და გამოწვევებს შორის არსებული ჰორიზონტალური ურთიერთკავშირები ილუსტრირებულია ჩვეულებრივი ლეოპოლდის მატრიცით, რომელშიც ევროპულ დონეზე არის წარმოდგენილი მემკვიდრეობის პოლიტიკის ზომების შეფასებული ზეგავლენა.

ცხრილი 1: ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნისთვის - ლეოპოლდის მატრიცა სტრატეგიის სამ კომპონენტთან დაკავშირებული ურთიერთკავშირებისთვის

გამოწვევები**	სოციალური								განვითარების								ცოდნის							
	S1	S2	S3	S4	S5	S6	S7	S8	D1	D2	D3	D4	D5	D6	D7	D8	K1	K2	K3	K4	K5	K6	K7	K8
რეკომენდაციები*																								
S1		X		X		X		X	X		X						X		X					
S2	X	X			X		X		X		X						X		X					
S3	X	X	X	X	X	X	X	X	X								X		X				X	
S4	X	X	X	X	X	X	X	X									X	X	X					
S5	X		X		X	X	X	X	X					X			X							X
S6	X	X		X	X	X	X		X					X			X						X	
S7		X		X	X	X	X	X			X						X	X	X					
S8		X	X	X	X	X		X	X			X					X	X	X					X
S9	X		X	X	X	X		X	X		X							X		X				
S10	X	X		X	X	X	X	X	X				X		X									

D1	განვითარების	X							X	X	X	X	X	X										
D2							X	X	X	X		X		X			X			X				
D3				X				X		X		X				X	X		X	X				X
D4									X	X	X	X	X							X				
D5							X	X	X	X	X	X	X	X				X						
D6						X		X	X	X	X	X	X	X					X		X			
D7				X	X	X	X	X	X	X	X	X	X				X				X	X		
D8									X		X		X		X					X	X	X		
D9										X	X	X												
D10								X	X	X	X	X	X				X	X			X			
D11					X	X	X	X	X	X		X										X		
K1	ცოდნის			X											X	X	X						X	
K2																X	X							
K3																X	X	X	X					
K4																X	X	X	X	X				
K5																X	X	X	X	X				
K6				X					X					X			X	X	X					
K7				X												X	X	X	X				X	
K8																X	X	X	X	X				
K9																	X	X	X	X				
K10																X	X	X	X	X				
K11																X	X	X	X	X				

მონაცემთა წყარო: ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგია 21-ე საუკუნისთვის

ლეგენდა პირველი ცხრილისთვის

* რეკომენდაციები	** გამოწვევები
S1 წახალისეთ მოქალაქეთა და ადგილობრივი ხელისუფლებების მონაწილეობა ყოველდღიური მემკვიდრეობის პრაქტიკულ გამოყენებაში S2 გახადეთ მემკვიდრეობა უფრო ხელმისაწვდომი	S1. მზიდობიან გარემოში ცხოვრება S2. ცხოვრების დონის გაუმჯობესება S3. ადამიანების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა S4. კოლექტიური მეხსიერების

* რეკომენდაციები	** გამოწვევები
<p>S3 გამოიყენეთ მემკვიდრეობა ევროპისა და ევროპული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების განმტკიცებისა და გადაცემისთვის</p> <p>S4 მხარი დაუჭირეთ მემკვიდრეობას, როგორც შეხვედრის ადგილს და კულტურათაშორისი დიალოგის, მშვიდობისა და შემწყნარებლობის საშუალებას</p> <p>S5 წახალისეთ და შეაფასეთ მოქალაქეთა მონაწილეობის მეთოდები და პროცედურები</p> <p>S6 შექმენით შესაფერისი სისტემა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებებს და ადამიანთა ჯგუფებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ სათანადო ზომები საკუთარი მემკვიდრეობის ინტერესებში და მის სამართავად</p> <p>S7 შექმენით თანამონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის პროგრამები და ხელი შეუწყვეთ მათ გავრცელებას</p> <p>S8 წახალისეთ ადგილობრივი თემების და ხელისუფლებების მხრიდან წამოსული ინიციატივები მემკვიდრეობის რეაბილიტაციის თაობაზე</p> <p>S9 მხარი დაუჭირეთ თაობათაშორის და კულტურათაშორის პროექტებს მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის</p> <p>S10 ხელი შეუწყვეთ და წახალისეთ (საჯარო და კერძო) ამხანაგობები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და შენარჩუნების პროექტებში</p>	<p>შენარჩუნება</p> <p>S5. ეფექტური მმართველობის დამკვიდრება</p> <p>S6. საზოგადოების ჩართულობით მართვის ხელშეწყობა</p> <p>S7. კონვენციების შესრულების ოპტიმიზაცია</p> <p>S8. მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ინკლუზიური მიდგომის წახალისება</p>
<p>D1 ხელი შეუწყვეთ კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც რესურსს და გაამარტივეთ ფინანსური ინვესტიციების განხორციელება</p> <p>D2 მხარი დაუჭირეთ და წახალისეთ მემკვიდრეობის სექტორი, როგორც სამუშაო ადგილების და ბიზნეს-შესაძლებლობების შექმნის საშუალება</p> <p>D3 მხარი დაუჭირეთ მემკვიდრეობით გადმოცემულ ხელობებს და მათ მცოდნე პროფესიონალებს</p> <p>D4 მოამზადეთ მემკვიდრეობის ზეგავლენის კვლევები სარეაბილიტაციო, სამშენებლო, დაგეგმარების და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის</p> <p>D5 წახალისეთ მემკვიდრეობის მრავალჯერადი გამოყენება და ტრადიციული ცოდნისა და პრაქტიკის გამოყენება</p> <p>D6 უზრუნველყავით, რომ მემკვიდრეობა გათვალისწინებული იყოს დეველოპერულ, სივრცული დაგეგმარების, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის პოლიტიკის მიმართულებებში</p> <p>D7 გაითვალისწინეთ მემკვიდრეობა მდგრადი ტურისტული განვითარების პოლიტიკის მიმართულებებში</p> <p>D8 დაიცავით, აღადგინეთ და გააუმჯობესეთ მემკვიდრეობა</p>	<p>D1. უფრო ერთიანი და შერეული საზოგადოების მშენებლობა</p> <p>D2. ევროპის კეთილდღეობის განვითარება მისი მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით</p> <p>D3. ევროპელებისთვის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა ჰარმონიულ კულტურულ და ბუნებრივ გარემოში</p> <p>D4. კომპლექსური მოვლა-შენახვის პრინციპის განხორციელება</p> <p>D5. მდგრადი სივრცული დაგეგმარების სტრატეგიებსა და პროგრამებში მემკვიდრეობის გათვალისწინების უზრუნველყოფა,</p> <p>D6. საჯარო სამსახურების მიერ მემკვიდრეობის უკეთესად გამოყენების გზით მდგრადი სივრცული დაგეგმარების პრობლემების გადაჭრის უნარის</p>

* რეკომენდაციები	** გამოწვევები
<p>ახალი ტექნოლოგიების უფრო ფართოდ გამოყენებით</p> <p>D9 გამოიყენეთ ინოვაციური ტექნოლოგიები კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებისთვის წარსადგენად, ისე, რომ იმავდროულად შეინარჩუნოთ მისი მთლიანობა</p> <p>D10 გამოიყენეთ კულტურული მემკვიდრეობა, როგორც რეგიონისთვის განსაკუთრებული ხასიათის მიმცემი საშუალება, რომელიც მას უფრო მიმზიდველს და ცნობადს გახდის</p> <p>D11 შექმენით მართვის ახალი მოდელები, რათა უზრუნველყოთ, რომ მემკვიდრეობამ სარგებელი მიიღოს მისგან ნაწარმოები დამატებითი გვერდითი ეკონომიკური პროდუქტებისგან</p>	<p>განვითარება</p> <p>D7. საჯარო სამსახურების მიერ მემკვიდრეობის პრობლემების გადაჭრის უნარის შენარჩუნება და განვითარება</p> <p>D8. მემკვიდრეობით სარგებლობისა და მრავალჯერადი გამოყენების ზრდა</p>
<p>K1 სასკოლო პროგრამებში უფრო ეფექტურად შეიტანეთ განათლება მემკვიდრეობის შესახებ</p> <p>K2 გაატარეთ ზომები ახალგაზრდობის წასახალისებლად, რათა მემკვიდრეობა პრაქტიკაში გამოიყენონ</p> <p>K3 წახალისეთ შემოქმედება მემკვიდრეობის აუდიტორიის დაინტერესების მიზნით</p> <p>K4 უზრუნველყავით სხვა, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სფეროების არაპროფესიონალი და პროფესიონალი მოთამაშეების ოპტიმალური სწავლება</p> <p>K5 მრავალფეროვანი გახადეთ მემკვიდრეობის სპეციალისტების სწავლების სისტემები</p> <p>K6 შექმენით ადგილობრივი და ტრადიციული მასალების, ტექნოლოგიებისა და ნოუ ჰაუს ცოდნის ბანკები</p> <p>K7 დარწმუნდით, რომ ახალ თაობას გადაეცემა ის ცოდნა და უნარები, რომლებიც წარმოადგენს მემკვიდრეობად აღიარებული ხელობის ნაწილს</p> <p>K8 გარანტირებული უნდა იყოს აღნუსხულ მემკვიდრეობაზე მომუშავე სპეციალისტების კომპეტენტურობა</p> <p>K9 შეიმუშავეთ სასწავლო და კვლევითი პროგრამები, რომლებიც ასახავს მემკვიდრეობის სექტორის საჭიროებებს და გააზიარეთ მათი შედეგები</p> <p>K10 წახალისეთ და მხარი დაუჭირეთ ქსელების განვითარებას</p> <p>K11 გამოიკვლიეთ მემკვიდრეობა, როგორც ცოდნის, შთაგონებისა და შემოქმედების წყარო</p>	<p>K1. საერთო ცოდნის საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა</p> <p>K2. მემკვიდრეობით მიღებული ცოდნისა და ოსტატობის გამოვლენა, შენარჩუნება და გადაცემა</p> <p>K3. მემკვიდრეობით გადმოცემული ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება</p> <p>K4. მემკვიდრეობით დაინტერესებული მხარეებისთვის უწყვეტ სწავლებაზე წვდომის უზრუნველყოფა</p> <p>K5. მემკვიდრეობით მიღებული ყველა სახის ოსტატობისა და ხელობის მაღალი ტექნიკური დონის გარანტირება</p> <p>K6. მთავრობათაშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერა, განმტკიცება და განვითარება</p> <p>K7. მემკვიდრეობის კვლევის ხელშეწყობა</p> <p>K8. ახალგაზრდებში მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობის განმტკიცება</p>

პირველ ცხრილში ნაჩვენებია სტრატეგიის ყველა რეკომენდაციასა და გამოწვევას შორის კავშირები.⁸ იგი გვაძლევს დეტალურ წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება

⁸ სტრატეგიის ყურადღების ძირითად ობიექტს რეკომენდაციების და გამოწვევების ერთსა და იმავე მემკვიდრეობის კომპონენტთან დაკავშირება წარმოადგენს (S, D ან K), რადგან განსაზღვრული გავლენების უმრავლესობა მატრიცის დიაგონალში ხვდება (ზედა მარცხენა კუთხიდან, ქვედა მარცხენა კუთხისკენ).

იმოქმედოს ცალკეულმა რეკომენდაციებმა სტრატეგიასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებზე. სტრატეგია მომზადებულია არა როგორც რეკომენდაციებსა და პრობლემებს შორის ცალკეული კავშირების უბრალო ნაკრები, არამედ როგორც სამი ავტონომიური, ურთიერთდამოკიდებული კომპონენტის მქონე სრულყოფილი სტრუქტურა. ამიტომ მიზანშეწონილია კომპონენტებს შორის ამ სტრუქტურული კავშირების დადგენა, რათა დავინახოთ, თუ როგორი არაპირდაპირი გავლენები აქვთ მათ ერთმანეთზე, რაც მემკვიდრეობის კომპონენტებს შორის სინერგიის წინაპირობას წარმოადგენს.

პირველ ცხრილში მოცემული სტრატეგიების სავარაუდო ზემოქმედებების დაჯგუფება შესაძლებელია სექტორული ზეგავლენის წყაროსა და სფეროს მიხედვით (KIK, KIS, KID, და ა. შ.), შემავალ-გამომავალი კვადრატული მატრიცის მისაღებად, რომელიც აჩვენებს, თუ რომელი სინერგიზმების მიღებაა შესაძლებელი სტრატეგიის კომპონენტებს შორის რეკომენდირებული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში.

ცხრილი 2: კომპონენტებს შორის გავლენების შემავალ-გამომავალი მატრიცა

შემავალ-გამომავალი მატრიცა	გამოწვევები 1 (S კომპონენტი)	გამოწვევები 2 (D კომპონენტი)	გამოწვევები 3 (K კომპონენტი)
რეკომენდაციები 1 (S კომპონენტი)	S1-10	S1-3, S5-10	S1-9
რეკომენდაციები 2 (D კომპონენტი)	D1-3, D5-7, D11	D1-D11	D2-8, D10-11
რეკომენდაციები 3 (K კომპონენტი)	K1, K6-7	K6	K1-11

მონაცემთა წყარო: ცხრილი 1. ლეოპოლდის მატრიცა (რეკომენდაციები x გამოწვევები)

მე-2 ცხრილის ლეგენდა: როგორ გამოვიყენოთ შემავალ-გამომავალი მატრიცა

როგორ მივიღოთ კრებსითი შედეგები შემავალ-გამომავალი მატრიციდან	გამოწვევები S კომპონენტში	გამოწვევები D კომპონენტში	გამოწვევები K კომპონენტში
რეკომენდაციები S კომპონენტისთვის	SS: S კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა S კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში	SD: S კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა D კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში	SK: S კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა K კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში
რეკომენდაციები D კომპონენტისთვის	DS: D კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა S კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში	DD: D კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა D კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში	DK: D კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა K კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში

რეკომენდაციები K კომპონენტისთვის	KS: K კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა S კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში	KD: D კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა K კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში	KK: K კომპონენტთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურობა K კომპონენტთან დაკავშირებული გამოწვევებთან გამკლავებაში
----------------------------------	---	---	---

შენიშვნა:

- ეფექტურობა ფასდება სტანდარტული გზით, გავლენის ინდიკატორების მონიტორინგით (რა გავლენას ახდენს S კომპონენტის რეკომენდაციები S-ის, Sის-ის და ა. შ. გამოწვევებზე)
- სინერგია S-სა (რეკომენდაციებში) და D-ს (გამოწვევებში) შორის მიიღწევა შეფასებული გავლენების საშუალოს გამოთვლით $(DS + SD)/2$.
- სინერგია K-ს და D-ს შორის მიიღწევა შეფასებული გავლენების საშუალოს გამოთვლით $(KID + DIK)/2$.
- სინერგია S-სა და K-ს შორის მიიღწევა შეფასებული გავლენების საშუალოს გამოთვლით: $(SIK + KIS)/2$.

მე-2 ცხრილში ნაჩვენებია ურთიერთკავშირი რეკომენდაციებსა და თითოეული სტრატეგიული კომპონენტის თითოეულ გამოწვევას შორის. დიაგონალურად წარმოდგენილია პოლიტიკის ეფექტურობის ტრადიციული ინდიკატორი. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენად წარმატებულია სტრატეგიის თითოეული კომპონენტი თავისი ძირითადი მნიშვნელოვანი რეკომენდაციების განხორციელებაში.

არაპირდაპირი და სექტორთა შორის გავლენები განლაგებულია მეორე ცხრილის მატრიცის არა დიაგონალურ უჯრებში.

დიაგონალურად ქვემოთ განლაგებული, სექტორთა შორის გავლენის დიაგონალურად ზემოთ, სიმეტრიულად მდებარე გავლენასთან დაკავშირებით (როგორცაა Dის და Sის), შესაძლებელია სტრატეგიის ორ კომპონენტს შორის სინერგიისა და იმის შეფასება, თუ როგორ ეხმარება ან ზღუდავს კომპონენტები ერთმანეთს თავიანთი რეკომენდაციების განხორციელების მეშვეობით.

ქვემოთ მოცემული ვენის დიაგრამა აჩვენებს, თუ როგორ არის მემკვიდრეობის პოლიტიკის სამი კომპონენტი გაერთიანებული პირდაპირი (დიაგონალური, გადაუფარავი) და არაპირდაპირი (არადიაგონალური, გადაფარული) კავშირებით სტრატეგიის რეკომენდაციებსა და გამოწვევებს შორის.

სურათი 1: 21-ე საუკუნის ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის ვენის დიაგრამა



წყარო: ცხრილი 2.

მემკვიდრეობის პოლიტიკა (ან მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები ან პროექტებიც კი) უფრო შეთანხმებულია მაშინ, როდესაც, მისი რეკომენდაციების შესრულების შედეგად იზრდება გადაკვეთის შიდა არე. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული კონკრეტული პოლიტიკა, ღონისძიება ან პროექტი უფრო ინტეგრირებულია მაშინ, როდესაც ურთიერთკავშირებს შორის შეთანხმება იზრდება სამივე კომპონენტში ეფექტურობის გაუმჯობესების პარალელურად.

დანართი B

ნიმუშების ჩამონათვალი რეკომენდაციების მიხედვით

1. „სოციალური კომპონენტი“

„სოციალური კომპონენტი“ (S) ყურადღებას ამახვილებს მემკვიდრეობასა და საზოგადოებრიობას შორის ურთიერთობებზე, მოქალაქეობაზე, დემოკრატიული ღირებულებების გადაცემაზე საზოგადოებრივი ჩართულობით ხელმძღვანელობის გზით და ეფექტურ მართვაზე საზოგადოების აქტიური მონაწილეობით.



გამოწვევები

- S1. მშვიდობიან გარემოში ცხოვრება
- S2. ცხოვრების დონის გაუმჯობესება
- S3. ადამიანების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა
- S4. კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნება
- S5. ეფექტური მმართველობის დამკვიდრება
- S6. საზოგადოების ჩართულობით მართვის ხელშეწყობა
- S7. კონვენციების შესრულების ოპტიმიზაცია
- S8. მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ინკლუზიური მიდგომის წახალისება

რეკომენდაციები



რეკომენდაცია S1

წახალისეთ მოქალაქეთა და ადგილობრივი ხელისუფლებების მონაწილეობა ყოველდღიური მემკვიდრეობის პრაქტიკულ გამოყენებაში

ღონისძიების ნიმუშები

- მემკვიდრეობა, როგორ გონებრივი და მრავლობითი დარღვევების მქონე ადამიანების ემანსიპაციის საშუალება - HEREIN (ნიდერლანდები)
www.ipsedebruggen.nl/news/article/58/opening-de-haven-nigrum-pullum-zwammerdam
www.romeinselimes.nl/nl/op-pad/fort-nigrum-pullum-zwammerdam
<https://erfgoedstem.nl/opening-bezoekerscentrum-haven-nigrum-pullum/>
www.monumentaal.com/bezoekerscentrum-haven-nigrum-pullum-open

- კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური და სოციალური გავლენის ინდიკატორები - HEREIN (უნგრეთი)
- კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური და სოციალური გავლენის ინდიკატორები - HEREIN (უნგრეთი)
www.forsterkozpont.hu/nemzetkozi-feladatok/nemzetkozi-projektjeink/749#1
<http://balatoncsicso.reblog.hu/>
www.facebook.com/csicsoiplebania
- კუნძულ რესის ადგილობრივი განვითარების პროგრამა – HEREIN (ხორვატია)
www.coe.int/t/dg4/cultureheritage/cooperation/SEE/LDPP/Croatia_en.asp
- მუნიციპალიტეტების მიხედვით ადგილობრივი მემკვიდრეობის დაცვა – HEREIN (სლოვაკეთის რესპუბლიკა)
- არაკომერციული ორგანიზაცია Qualité-Village-Wallonie-ის მიერ სკოლებთან და მუნიციპალიტეტებთან ერთად შემუშავებული ერთობლივი მიდგომები (ბელგია, ვალონია)
www.qvw.be/
- “SOS Patrimoine”: ვალონიის (ბელგია, ვალონია) სასოფლო ფონდის მიერ შემუშავებული თემატური საინფორმაციო ბიულეტენები, რომლებიც გამოსადეგი იყო მემკვიდრეობის ობიექტის შენარჩუნებაში ჩართული ყველა მოქალაქისთვის.
- გრანტი „მცირემასშტაბიანი მემკვიდრეობის“ რესტავრაციისთვის - HEREIN (ბელგია, ბრიუსელის სადედაქალაქო რეგიონი)
<http://patrimoine.brussels/liens/campagnes-programmes/petit-patrimoine-brochure-2015>
- ადგილობრივი განვითარების საპილოტე პროგრამა ლიმასოლის მეღვინეობის სოფლებისთვის (კვიპროსი)
www.agrotourism.com.cy/discover-wine-route-4-wine-villages-limassol,60,en
- [Saarländischer](http://www.denkmalschutz-saarland.de) Verein für Denkmalschutz e.V. (ზაარლანდის ისტორიული ძეგლების დაცვის ასოციაცია) (გერმანია)
www.denkmalschutz-saarland.de



რეკომენდაცია S2

გახადეთ მემკვიდრეობა უფრო ხელმისაწვდომი

ღონისძიების ნიმუშები

- „ევროპული მემკვიდრეობის დღეების“ (ევროპა) დროს განხორციელებული ღონისძიებები
